

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა (EU) No 439/2010

2010 წლის 19 მაისი

ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის შექმნის შესახებ

ევროპის პარლამენტი და ევროპის კავშირის საბჭო,

ითვალისწინებენ რა, ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, კერძოდ, მის 74-ე მუხლსა და 78-ე მუხლის 1-ელ და მე-2 პუნქტებს,

ითვალისწინებენ რა, ევროპის კომისიის წინადადებას,

მოქმედებენ რა, სტანდარტული საკანონმდებლო პროცედურის¹ შესაბამისად,

ვინაიდან:

- (1) ჰააგის პროგრამის შესაბამისად, კავშირის პოლიტიკა თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის (CEAS) შესახებ მიზნად ისახავს თავშესაფრის საერთო სივრცის შექმნას, რაც ევროკავშირის ფასეულობებისა და ჰუმანიტარული ტრადიციების შესაბამისი, ეფექტიანი და ჰარმონიზებული პროცედურის საშუალებით უნდა მოხდეს.
- (2) ერთიანი მინიმალური სტანდარტების დანერგვის მეშვეობით, თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის (CEAS) შექმნის პროცესში ბოლო წლებში შესამჩნევი წინსვლა აღინიშნება. კვლავაც დიდია განსხვავება წევრ სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო დაცვის მინიჭების რეგულაციებსა და საერთაშორისო დაცვის ფორმებს შორის. საჭიროა ამ განსხვავებების შემცირება.
- (3) 2008 წლის ივნისში დამტკიცებული სამოქმედო გეგმა თავშესაფრის შესახებ თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის (CEAS) ჩამოყალიბებას ეხება. სისტემის მთავარი მიზანი შესაბამისი სტანდარტების მეტი ჰარმონიზაციაა, რისთვისაც საჭიროა არსებული საკანონმდებლო დოკუმენტების გადასინჯვა და წევრ სახელმწიფოებს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის გაძლიერება. ამ მიზნით, ევროკომისია შეიმუშავებს საკანონმდებლო ინიციატივას თავშესაფრის მხარდაჭერის ევროპის ოფისის (შემდგომში - „მხარდაჭერის ოფისი“) შექმნის თაობაზე, რათა წევრ სახელმწიფოებს შორის ოპერატიული თანამშრომლობა გაუმჯობესდეს და ერთიანი წესების უფრო ეფექტიანი დანერგვა გახდეს შესაძლებელი.
- (4) 2008 წლის სექტემბერში მიღებულ ევროპულ პაქტში იმიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ ევროპის საბჭომ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ნებისმიერ დევნილ

უცხოელს უფლება აქვს, ლტოლვილის სტატუსის შესახებ ჟენევის 1951 წლის 28 ივლისის კონვენციისა და ნიუ იორკის 1967 წლის 31 იანვრის ოქმითა და სხვა შესაბამისი ხელშეკრულებებით კონვენციაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, ევროპის კავშირის ტერიტორიაზე დახმარება და დაცვა მიიღოს. ასევე, გარკვევით იყო შეთანხმებული, რომ 2009 წელს შეიქმნებოდა ევროპული მხარდაჭერის ოფისი.

- (5) თავშესაფრის საკითხზე პრაქტიკული თანამშრომლობა მიზნად ისახავს კონვერგენციის გაზრდასა და ამ სფეროში წევრი სახელმწიფოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გაუმჯობესებას ევროპული საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში. ბოლო წლებში პრაქტიკული თანამშრომლობის რამდენიმე ნაბიჯი გადაიდგა, კერძოდ, ჩამოყალიბდა საერთო მიდგომა წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მიმართ და დადგინდა თავშესაფრის საერთო ევროპული სასწავლო პროგრამა.
- (6) მხარდაჭერის ოფისის შექმნის მიზანი აღნიშნული თანამშრომლობის გაძლიერება და განვითარებაა. თანამშრომლობის აღნიშნული ნაბიჯები და მიღებული გამოცდილება მხარდაჭერის ოფისმა სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს.
- (7) როდესაც წევრი სახელმწიფოების თავშესაფრის მინიჭების და მიმღები სისტემები, გეოგრაფიული და დემოგრაფიული მდგომარეების გამო, განსაკუთრებულ და არათანაზომიერ ზეწოლას განიცდის, მხარდაჭერის ოფისმა ევროპის კავშირის შიგნით სოლიდარობის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი. მხარდაჭერის ოფისმა უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო დაცვის ბენეფიციარების გადანაწილება წევრ სახელმწიფოებს შორის და, ამავდროულად, არ უნდა დაუშვას თავშესაფრის მინიჭების და მიმღები სისტემების ბოროტად გამოყენება.
- (8) საკუთარი მანდატის უკეთ შესრულების მიზნით, მხარდაჭერის ოფისი ტექნიკურ საკითხებში დამოუკიდებელი უნდა იყოს და საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია უნდა ჰქონდეს. ამ მიზნით, მხარდაჭერის ოფისი უნდა წარმოადგენდეს ევროპის კავშირის ორგანოს, რომელსაც იურიდიული პირის სტატუსი აქვს და წინამდებარე დირექტივით აღსრულების ფუნქცია ენიჭება.
- (9) მხარდაჭერის ოფისმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს ევროკომისიასთან, წევრი სახელმწიფოების სახელმწიფო ორგანოებთან, რომლებიც თავშესაფრის საკითხებზე მუშაობენ, იმიგრაციისა და თავშესაფრის ეროვნულ სამსახურებსა და სხვა სამსახურებთან, მათი პოტენციალისა და საექსპერტო გამოცდილების გათვალისწინებით. წევრმა სახელმწიფოებმა მხარდაჭერის ოფისთან მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ.

- (10) მხარდაჭერის ოფისმა ასევე მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატსა და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა ისარგებლოს მათი გამოცდილებითა და დახმარებით. ამ მიზნით, სრულად უნდა იქნეს აღიარებული გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და ეს ორგანიზაციები მხარდაჭერის ოფისის საქმიანობაში აქტიურად უნდა ჩაერთონ. მხარდაჭერის ოფისის მიერ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისათვის ამ დირექტივის შესაბამისად გამოყოფილი ფინანსური რესურსები არ უნდა გახდეს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ორმაგი დაფინანსების წყარო, სხვა საერთაშორისო ან ეროვნულ წყაროებთან ერთად.
- (11) ამასთანავე, საკუთარი მიზნის მისაღწევად და იმ ფარგლებში, რაც მისი მოვალეობების შესრულებისთვის არის აუცილებელი, მხარდაჭერის ოფისმა უნდა ითანამშრომლოს ევროკავშირის სხვა ორგანოებთან, კერძოდ, საზღვრისა და სანაპირო დაცვის ევროპულ სააგენტოსთან (ფრონტექსი), რომელიც საბჭოს (EC) No 2007/2004² დირექტივის საფუძველზე შეიქმნა და ევროკავშირის ძირითად უფლებებათა სააგენტოსთან, რომელიც საბჭოს (EC) No 168/2007³ დირექტივის საფუძველზე შეიქმნა.
- (12) მხარდაჭერის ოფისმა უნდა ითანამშრომლოს მიგრაციის ევროპულ ქსელთან, რომელიც საბჭოს 2008/381/EC⁴ გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა, რათა არ მოხდეს საქმიანობის დუბლირება. ამასთან, ინფორმაციის გაცვლისა და თავშესაფრის მინიჭების საკითხებზე დაგროვილი ცოდნის თავმოყრის მიზნით, მხარდაჭერის ოფისმა სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო დიალოგი უნდა აწარმოოს.
- (13) მხარდაჭერის ოფისი უნდა იყოს ევროპის საექსპერტო ცენტრი თავშესაფრის საკითხებში, რომელიც პასუხისმგებელი იქნება თავშესაფრის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოებს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის ხელშეწყობაზე, კოორდინაციასა და განმტკიცებაზე, რათა წევრმა სახელმწიფოებმა უკეთ შეძლონ საერთაშორისო დაცვის მინიჭება იმ ადამიანებისათვის, ვინც ამას იმსახურებს და, საჭირო შემთხვევაში, უზრუნველყონ სამართლიანი და გონივრული მოპყრობა იმ პირთა მიმართ, რომლებსაც საერთაშორისო დაცვა არ ეკუთვნით. მხარდაჭერის ბიუროს მანდატი სამ მთავარ მოვალეობას უნდა მოიცავდეს, მათ შორის, თავშესაფრის მინიჭების ერთიანი ევროპული სისტემის დანერგვას, თავშესაფრის საკითხებზე წევრ ქვეყნებს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის ხელშეწყობასა და იმ ქვეყნების დახმარებას, რომლებიც განსაკუთრებულ ზეწოლას განიცდიან.

- (14) მხარდაჭერის ოფისს არ უნდა ჰქონდეს წევრი სახელმწიფოების სახელისუფლებო ორგანოების მიერ საერთაშორისო დაცვის განაცხადებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში პირდაპირი ან არაპირდაპირი ჩარევის უფლებამოსილება.
- (15) იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს სწრაფი და ეფექტიანი დახმარების გაწევა იმ წევრი ქვეყნებისათვის, რომელთა თავშესაფრის და მიმღები სისტემებიც განსაკუთრებულ ზეწოლას განიცდიან, მხარდაჭერის ოფისმა, შესაბამისი წევრი ქვეყნის თხოვნის საფუძველზე, გარკვეული ნაბიჯები უნდა გადადგას, მაგალითად, ამ სახელმწიფოების ტერიტორიაზე თავშესაფრის საკითხების ექსპერტებისაგან დაკომპლექტებული დამხმარე ჯგუფის განთავსების გზით. ექსპერტთა გუნდებს დაევალებათ კომპეტენციის გაზიარება მომსახურებების არსის, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციისა და თავშესაფრის საქმეების დამუშავებისა და მართვის შესახებ. ეფექტიანი განლაგების უზრუნველყოფის მიზნით, წინამდებარე დირექტივა აყალიბებს დეტალებს თავშესაფრის დამხმარე ჯგუფების ორგანიზების შესახებ.
- (16) მხარდაჭერის ოფისმა საკუთარი მიზანი უნდა შეასრულოს ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ მისი, როგორც დამოუკიდებელი ორგანოს ფუნქციონირებას, მის მიერ გაწეული დახმარებისა და გავრცელებული ინფორმაციის სამეცნიერო და ტექნიკურ ხარისხს, მისი პროცედურებისა და ოპერატიული მეთოდების გამჭვირვალობასა და მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.
- (17) კომისია და წევრი სახელმწიფოები წარმოდგენილი უნდა იყვნენ მხარდაჭერის ოფისის მმართველ საბჭოში, რათა ეფექტიანად გააკონტროლონ მისი მუშაობა. შესაძლებლობის ფარგლებში, მმართველი საბჭო წევრი სახელმწიფოების თავშესაფრის სახელმწიფო ორგანოს ოპერატიული ხელმძღვანელებისაგან ან მათი წარმომადგენლისაგან უნდა შედგებოდეს. საბჭოს აუცილებლად უნდა მიეცეს უფლებამოსილება, რომ დაადგინოს ბიუჯეტი, შეამოწმოს მისი შესრულება, შემოიღოს შესაბამისი ფინანსური წესები, უზრუნველყოს მხარდაჭერის ოფისის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამუშაო პროცესის გამჭვირვალობა, დაამტკიცოს ყოველწლიური მოხსენება ევროკავშირში თავშესაფრის მინიჭების სფეროში არსებულ სიტუაციაზე და ტექნიკური დოკუმენტაცია ევროკავშირის თავშესაფრის მინიჭების კანონების აღსრულებაზე და დანიშნოს აღმასრულებელი დირექტორი და, საჭიროების შემთხვევაში, აღმასრულებელი კომიტეტიც. ვინაიდან გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარს თავშესაფრის საკითხში დიდი გამოცდილება აქვს, იგი ასევე უნდა იყოს მმართველი საბჭოს წევრი არჩევნების გარეშე, რათა მთლიანად იყოს ჩართული მხარდაჭერის ოფისის საქმიანობაში.

- (18) მხარდაჭერის ოფისის ვალდებულებებისა და აღმასრულებელი დირექტორის როლიდან გამომდინარე და იმისათვის, რომ ევროპის პარლამენტს შერჩეული კანდიდატურის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შეეძლოს, დანიშვნამდე ან მსახურობის ვადის შესაძლო გაგრძელებამდე, აღმასრულებელი დირექტორი მოხსენებით უნდა წარსდგეს ევროპის პარლამენტის კომპეტენტური კომიტეტის ან კომიტეტების წინაშე და პასუხები გასცეს მათ შეკითხვებს. აღმასრულებელმა დირექტორმა ევროპის პარლამენტში უნდა წარადგინოს ყოველწლიური ანგარიში. უფრო მეტიც, ევროპის პარლამენტს საშუალება უნდა ჰქონდეს, აღმასრულებელი დირექტორი მისი მოვალეობების შესრულების თაობაზე მოხსენების მოსასმენად გამოიძახოს.
- (19) მხარდაჭერის ოფისის სრული ავტონომიისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, მას უნდა ჰქონდეს საკუთარი ბიუჯეტი, რომლის უმეტესი ნაწილიც კავშირის შენატანებისგან შედგება. მხარდაჭერის ოფისის დაფინანსება საბიუჯეტო ორგანოსთან უნდა შეთანხმდეს, როგორც ამას მოითხოვს ევროპის პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას შორის 2006 წლის 17 მაისს დადებული უწყებათაშორისი შეთანხმების 47-ე მუხლი საბიუჯეტო დისციპლინისა და სწორი ფინანსური მართვის შესახებ.⁵ კავშირის საბიუჯეტო პროცედურა ევროპის კავშირის შენატანებსა და კავშირის საერთო ბიუჯეტზე დასარიცხ ნებისმიერ გრანტს უნდა ეხებოდეს. ანგარიშების შემოწმება კონტროლის პალატამ უნდა ჩაატაროს.
- (20) მხარდაჭერის ოფისმა უნდა ითანამშრომლოს მესამე ქვეყნების მთავრობებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელთა კომპეტენციაშიც ამ დირექტივით განსაზღვრული საკითხები შედის და მესამე ქვეყნებთან, იმ სამუშაო შეთანხმებების ფარგლებში, რომლებიც დაიდო ევროპის კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისი მუხლების თანახმად.
- (21) თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროსთან მიმართებით, გაერთიანებული სამეფოსა და ირლანდიის პოზიციის შესახებ ოქმის მე-3 მუხლის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, 2009 წლის 18 მაისს, გაერთიანებულმა სამეფომ და ირლანდიამ ამ დირექტივის მიღებასა და შესრულებაში მონაწილეობის სურვილი წერილობით გამოთქვეს.
- (22) დანიის პოზიციის შესახებ ოქმის 1-ელი და მე-2 მუხლების შესაბამისად, რომელიც თან ერთვის ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებას და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებას, დანია არ იღებს მონაწილეობას ამ დირექტივის მიღებაში და არ ეკისრება მისი აღსრულების ვალდებულება.

- (23) იმის გათვალისწინებით, რომ დანია, როგორც წევრი სახელმწიფო, აქტიურად მონაწილეობდა თავშესაფრის გამოყოფის საკითხებზე წევრ სახელმწიფოებს შორის პრაქტიკულ თანამშრომლობაში, მხარდაჭერის ოფისმა დანიასთან ოპერატიულ თანამშრომლობას ხელი უნდა შეუწყოს. ამ მიზნით, მმართველი საბჭოს შეხვედრებზე დასასწრებად მოწვეული უნდა იქნეს დანიის წარმომადგენელი, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, ასევე უნდა შეეძლოს სამუშაო ჯგუფების შეხვედრებზე დანიელი დამკვირვებლების მოწვევა.
- (24) დასახული მიზნის მიღწევისათვის, მხარდაჭერის ოფისი მზად უნდა იყოს იმ ქვეყნების მონაწილეობისათვის, რომლებსაც ევროკავშირთან გაფორმებული აქვთ შეთანხმებები ევროკავშირის კანონმდებლობის მიღებისა და შესრულების შესახებ იმ საკითხებში, რომლებსაც ეს დირექტივა ეხება, კერძოდ, საუბარია ისლანდიაზე, ლიხტენშტეინზე, ნორვეგიასა და შვეიცარიაზე. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე და ევროკომისიასთან შეთანხმებით, მას ასევე უნდა შეეძლოს, სამუშაო ურთიერთობა დაამყაროს სხვა ქვეყნებთან, რომელთაც მსგავსი ხელშეკრულება ევროკავშირთან არ გაუფორმებიათ. ამავე დროს, მან არცერთ შემთხვევაში არ უნდა ჩამოაყალიბოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა.
- (25) მხარდაჭერის ოფისზე ვრცელდება საბჭოს 2002 წლის 25 ივნისის რეგულაცია (EC, ევრატიმი) No 1605/2002 ფინანსური რეგულაციების შესახებ, რომელიც ეხება ევროპის თანამეგობრობის⁶ საერთო ბიუჯეტს (ფინანსური რეგულაცია), კერძოდ, მისი 185-ე მუხლი.
- (26) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 1999 წლის 25 მაისის რეგულაცია (EC) No 1073/1999 ევროპის თაღლითობასთან ბრძოლის ბიუროს⁷ მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე უნდა გავრცელდეს მხარდაჭერის ოფისზე, რომელიც უნდა მიუერთდეს ევროპის პარლამენტის, ევროპის კავშირის საბჭოს და ევროპის თანამეგობრობის კომისიის 1999 წლის 25 მაისის ხელშეკრულებას ევროპის თაღლითობასთან ბრძოლის ბიუროს⁸ მიერ შიდა გამოძიებების ჩატარების შესახებ.
- (27) მხარდაჭერის ოფისზე უნდა გავრცელდეს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2001 წლის 30 მაისის რეგულაცია (EC) No 1049/2001 ევროპის პარლამენტის, საბჭოსა და კომისიის დოკუმენტების საჯარო ხელმისაწვდომობის შესახებ.⁹
- (28) ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2000 წლის 18 დეკემბრის რეგულაცია (EC) No 45/2001 თანამეგობრობის ორგანოებისა და უწყებების მიერ პირად მონაცემთა დამუშავებისა და ამ მონაცემების თავისუფალი მიმოქცევის პროცესში ფიზიკური

პირების დაცვის შესახებ¹⁰ ასევე უნდა გავრცელდეს მხარდაჭერის ოფისის მიერ პირადი მონაცემების დამუშავების პროცესზე.

(29) აუცილებელი დებულებები, რომლებიც ეხება მხარდაჭერის ოფისის იმ წევრ სახელმწიფოში დაბინავებას, სადაც მას სათავო ოფისი უნდა ჰქონდეს და ის კონკრეტული წესები, რომლებიც მხარდაჭერის ოფისის ყველა თანამშრომელსა და მათი ოჯახის წევრებს ეხება, სათავო ოფისის შესახებ შეთანხმებაში უნდა ჩამოყალიბდეს. გარდა ამისა, მიმღებმა წევრმა სახელმწიფომ მხარდაჭერის ოფისის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის ყველა პირობა უნდა შეუქმნას, მათ შორის, უნდა უზრუნველყოს სკოლები ბავშვებისათვის და ტრანსპორტი, რათა ადამიანური რესურსების მოზიდვა რაც შეიძლება ფართო გეოგრაფიული არეალიდან იყოს შესაძლებელი.

(30) რამდენადაც ამ დირექტივის მიზნები, კერძოდ, თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის დანერგვის გაუმჯობესება, თავშესაფრის გამოყოფის საკითხებზე წევრი სახელმწიფოების პრაქტიკული თანამშრომლობის კოორდინაცია და გაძლიერება და იმ წევრი სახელმწიფოებისთვის ოპერატიული დახმარების გაწევა და/ან დახმარების კოორდინაცია, რომლებიც განსაკუთრებულ ზეწოლას განიცდიან თავშესაფრის მინიჭებისა და მიღების საკითხებთან დაკავშირებით, ჯეროვნად ვერ მიიღწევა წევრი სახელმწიფოების დონეზე და, ამდენად, მისი მასშტაბისა და შედეგების გათვალისწინებით, შესაძლებელია უკეთ იქნეს მიღწეული კავშირის დონეზე, კავშირმა შეიძლება ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული სუბსიდირების პრინციპის შესაბამისი ზომები მიიღოს. პროპორციულობის სისტემის შესაბამისად, როგორც ეს იმავე მუხლშია გათვალისწინებული, წინამდებარე დირექტივა ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ფარგლებს არ სცდება.

(31) წინამდებარე დირექტივა პატივს სცემს ფუნდამენტურ უფლებებს, იზიარებს ევროპის კავშირის ქარტიით აღიარებულ პრინციპებს ფუნდამენტური უფლებების შესახებ და ქარტიის მე-18 მუხლში ჩამოყალიბებული თავშესაფრის უფლების შესაბამისად უნდა იქნას გამოყენებული.

იღებს წინამდებარე დირექტივას:

თავი 1

ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის დაფუძნება და მისი მიზანი

მუხლი 1

ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის დაფუძნება

წინამდებარე დირექტივით ფუძნდება ევროპის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისი (შემდგომში: „მხარდაჭერის ოფისი“), რომლის მიზანი თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის დანერგვის გაუმჯობესება, თავშესაფრის საკითხებზე წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება და იმ ქვეყნებისათვის ოპერატიული დახმარების გაწევა ან კოორდინაციაა, რომელთა თავშესაფრისა და მიმღები სისტემები განსაკუთრებულ ზეწოლას განიცდის.

მუხლი 2

მხარდაჭერის ოფისის მიზანი

1. მხარდაჭერის ოფისი ხელს შეუწყობს, კოორდინაციას გაუწევს და გააძლიერებს წევრ ქვეყნებს შორის პრაქტიკულ თანამშრომლობას თავშესაფრის მრავალ ასპექტთან დაკავშირებით და თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის დანერგვას. აღნიშნულის გათვალისწინებით, მხარდაჭერის ოფისი სრულად უნდა იყოს ჩართული თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის საგარეო განზომილებაში.
2. მხარდაჭერის ოფისი ეფექტიან ოპერატიულ დახმარებას გაუწევს წევრ სახელმწიფოებს, რომელთა თავშესაფრისა და მიმღები სისტემები განსაკუთრებულ ზეწოლას განიცდის. ამისათვის იგი დაეყრდნობა მის ხელთ არსებულ ყველა სასარგებლო რესურსს, რაც შეიძლება წევრი სახელმწიფოების მიერ ამ დირექტივის შესაბამისად მიწოდებული რესურსების კოორდინაციას გულისხმობდეს.
3. მხარდაჭერის ოფისი უზრუნველყოფს სამეცნიერო-ტექნიკურ დახმარებას ევროკავშირის პოლიტიკასა და კანონმდებლობასთან დაკავშირებით ყველა იმ სფეროში, რომელსაც თავშესაფრის საკითხზე პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა აქვს, რათა თავშესაფრის საკითხებზე პრაქტიკული თანამშრომლობის მხარდაჭერის საშუალება ჰქონდეს და საკუთარი მოვალეობები ეფექტიანად შეასრულოს. მხარდაჭერის ოფისი ამ სფეროს ყველა საკითხზე ინფორმაციის დამოუკიდებელ წყაროს წარმოადგენს.
4. მხარდაჭერის ოფისმა საკუთარი ამოცანები ისეთ პირობებში უნდა შეასრულოს, რომლებიც საშუალებას მისცემს, იყოს რეკომენდაციის გამცემი ძირითადი ორგანო, მისი დამოუკიდებლობიდან, მის მიერ გაწეული დახმარებისა და გავრცელებული ინფორმაციის მაღალი სამეცნიერო-ტექნიკური დონიდან, მისი ოპერატიული ღონისძიებებისა და მეთოდების გამჭვირვალობიდან, დაკისრებული მოვალეობების გულმოდგინედ შესრულებისა და მისი მანდატის შესრულებისათვის აუცილებელი საინფორმაციო-ტექნოლოგიური რესურსებიდან გამომდინარე.

5. მხარდაჭერის ოფისი მჭიდროდ ითანამშრომლებს კომისიასთან, წევრი სახელმწიფოების სახელისუფლებო ორგანოებთან, რომლებიც თავშესაფრის საკითხებზე მუშაობენ, ეროვნულ საიმიგრაციო და თავშესაფრის სამსახურებსა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან. მხარდაჭერის ოფისი თავის მოვალეობებს ასრულებს ევროკავშირის სხვა შესაბამისი ორგანოების მოვალეობებისთვის ზიანის მიყენების გარეშე და მჭიდროდ თანამშრომლობს ამ ორგანოებსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან.
6. მხარდაჭერის ოფისს წევრი სახელმწიფოების შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ საერთაშორისო დაცვის ინდივიდუალური განაცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩარევის უფლებამოსილება არ გააჩნია.

თავი 2

მხარდაჭერის ოფისის ვალდებულებები

კარი 1

თავშესაფრის საკითხებზე პრაქტიკული თანამშრომლობის მხარდაჭერა

მუხლი 3

საუკეთესო გამოცდილება

მხარდაჭერის ოფისი აყალიბებს, ავითარებს და კოორდინაციას უწევს საქმიანობას, რომელიც წევრ სახელმწიფოებს შორის თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლასა და მოწინავე გამოცდილების განსაზღვრასა და დამკვიდრებას უზრუნველყოფს.

მუხლი 4

ინფორმაცია წარმოშობის ქვეყნის შესახებ

მხარდაჭერის ოფისი აყალიბებს, ავითარებს და კოორდინაციას უწევს წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის მოპოვებასთან დაკავშირებულ საქმიანობას, კერძოდ:

(ა) აქტუალური, სარწმუნო, ზუსტი და უახლესი ინფორმაციის გამჭვირვალედ და მიუკერძოებლად შეგროვება იმ პირთა წარმოშობის ქვეყნების შესახებ, რომლებიც საერთაშორისო დაცვას ითხოვენ, ინფორმაციის ყველა შესაბამისი წყაროს, სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და, ასევე,

ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტებისა და ორგანოების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოყენებით;

(ბ) წარმოშობის ქვეყნის შესახებ ანგარიშების შედგენა „ა“ პუნქტის შესაბამისად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე;

(გ) წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისათვის შესაბამისი პორტალის მართვა და განვითარება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 42-ე მუხლით განსაზღვრული წესების შესაბამისად;

(დ) საერთო ფორმატისა და მეთოდოლოგიის შემუშავება წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის წარდგენის, გადამოწმებისა და გამოყენების მიზნით;

(ე) წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალე ანალიზი შეფასების კრიტერიუმების კონვერგენციის მიზნით და, შესაძლებლობის ფარგლებში, ერთი ან რამდენიმე სამუშაო მხარის შეხვედრების შედეგების გამოყენებით. ეს ანალიზი მიზნად არ უნდა ისახავდეს საერთაშორისო დაცვის განაცხადების დაკმაყოფილების ან უარის თქმის საკითხებზე წევრი ქვეყნებისთვის ინსტრუქციების მიცემას.

მუხლი 5

საერთაშორისო დაცვის მქონე პირთათვის ევროკავშირის ფარგლებში გადაადგილებაში დახმარების გაწევა

იმ წევრ სახელმწიფოებთან მიმართებით, რომელთა თავშესაფრისა და მიმღები სისტემები, გეოგრაფიული და დემოგრაფიული მდგომარეობის გამო, განსაკუთრებული და არათანაზომიერი ზეწოლას წინაშე დგას, მხარდაჭერის ოფისი ხელს უწყობს და კოორდინაციას უწევს კავშირის ტერიტორიაზე გადაადგილების შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და მასთან დაკავშირებული სხვა სახის საქმიანობის გამარტივებას. ევროკავშირის ფარგლებში გადაადგილება მხოლოდ წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების საფუძველზე, საერთაშორისო დაცვის შესაბამისი ბენეფიციარის თანხმობით და, შესაძლებლობის ფარგლებში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან კონსულტაციით უნდა იყოს შესაძლებელი.

მუხლი 6

სწავლების მხარდაჭერა

1. მხარდაჭერის ოფისი წევრი სახელმწიფოების ეროვნული ადმინისტრაციების, სასამართლოებისა და ტრიბუნალებისა და თავშესაფრის საკითხებზე პასუხისმგებელი ეროვნული სამსახურების წარმომადგენლებისათვის ქმნის და

განავითარებს სწავლების სისტემას. სწავლებაში მონაწილეობამ ეროვნულ სისტემებსა და პროცედურებს ზიანი არ უნდა მიაყენოს.

აღნიშნული სწავლების სისტემა მხარდაჭერის ოფისმა წევრი სახელმწიფოების თავშესაფრის საკითხებზე მომუშავე სახელისუფლებო ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა განავითაროს და, შესაძლებლობის ფარგლებში, აკადემიური ინსტიტუტებისა და სხვა შესაბამისი ორგანიზაციების გამოცდილება გამოიყენოს.

2. მხარდაჭერის ოფისი ევროპის თავშესაფრის სასწავლო პროგრამას ევროკავშირში ამ საკითხზე არსებული გამოცდილების გათვალისწინებით ქმნის და ავითარებს.
3. მხარდაჭერის ოფისის მიერ შეთავაზებული სწავლება შეიძლება იყოს ზოგადი, კონკრეტული ან თემატური და იგი შეიძლება მოიცავდეს „ტრენერთა ტრენინგის“ მეთოდოლოგიას.
4. კონკრეტული ან თემატური სწავლებები თავშესაფართან დაკავშირებული ცოდნისა და გამოცდილების საკითხებზე უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს (ჩამონათვალი ამომწურავი არ არის):
 - ა) საერთაშორისო სამართლით აღიარებული ადამიანის უფლებები და ევროკავშირის შეთანხმებები თავშესაფრის თემაზე, კონკრეტული სასამართლო და პრეცედენტული სამართლის საკითხების ჩათვლით;
 - ბ) არასრულწლოვანთა და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოწყვლად პირთა თავშესაფრის განაცხადების განხილვის საკითხები;
 - გ) გასაუბრების ჩატარების მეთოდები;
 - დ) სამედიცინო ექსპერტიზისა და სამართლებრივი ანგარიშების გამოყენება თავშესაფრის პროცედურის დროს;
 - ე) წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციის გაცემასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები;
 - ვ) მიღების პირობები, მოწყვლადი ჯგუფებისა და წამების მსხვერპლთა მიმართ განსაკუთრებული ყურადღების ჩათვლით.
5. შეთავაზებული სწავლება მაღალი ხარისხის უნდა იყოს და უნდა მოიცავდეს საკვანძო პრინციპებსა და საუკეთესო გამოცდილებას, რათა ადმინისტრაციული მეთოდების, გადაწყვეტილებებისა და იურიდიული პრაქტიკის კონვერგენცია ეროვნული სასამართლოებისა და ტრიბუნალების დამოუკიდებლობის სრული პატივისცემით მოხდეს.

6. მე-15 მუხლში მითითებულ ექსპერტებს, რომლებიც თავშესაფრის საინტერვენციო ჯგუფების წევრები არიან, მხარდაჭერის ოფისი მათი მოვალეობებისა და ფუნქციების შესატყვის სპეციალურ სწავლებას სთავაზობს და რეგულარულ ვარჯიშებს სპეციალისტების მომზადებისა და წვრთნის იმ განრიგის შესაბამისად უტარებს, რომელიც მათ ყოველწლიურ სამუშაო პროგრამაშია მითითებული.
7. მხარდაჭერის ოფისს შეუძლია, წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობით, სწავლებები მათსავე ტერიტორიაზე ჩაატაროს.

მუხლი 7

თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის საგარეო განზომილებების მხარდაჭერა

ევროკომისიასთან შეთანხმებით, მხარდაჭერის ოფისი კოორდინაციას უწევს თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის საგარეო განზომილებებთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და მექანიზმების დანერგვის საკითხებზე ინფორმაციის გაცვლასა და სხვა შესაბამის საქმიანობას.

მესამე ქვეყნებში ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და მასპინძელი ქვეყნის მიმართ მათი სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, მხარდაჭერის ოფისი კოორდინაციას უწევს წევრი სახელმწიფოების მიერ განსახლებისათვის მიღებული ზომების შესახებ ინფორმაციის გაცვლასა და სხვა საქმიანობას.

მანდატის მიხედვით და 49-ე მუხლის შესაბამისად, მხარდაჭერის ოფისს შეუძლია, მესამე ქვეყნების ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებთან ისეთ ტექნიკურ საკითხებში ითანამშრომლოს, როგორცაა მესამე ქვეყნების თავშესაფრისა და მიმღები სისტემების პოტენციალის ზრდის, რეგიონული დაცვის პროგრამების განხორციელებისა და პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის ხელშეწყობა და დახმარება.

კარი 2

განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ მყოფი წევრი სახელმწიფოების დახმარება

მუხლი 8

განსაკუთრებული ზეწოლა თავშესაფრისა და მიმღებ სისტემაზე

მხარდაჭერის ოფისი კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს საერთო ქმედებებს, რათა დაეხმაროს იმ წევრი სახელმწიფოების თავშესაფრისა და მიმღებ სისტემებს, რომლებიც განიცდიან განსაკუთრებულ ზეწოლას, რაც მათ მიმღებ პუნქტებსა და თავშესაფრის მინიჭების სისტემას განსაკუთრებით მძიმე და გადაუდებელ

მოთხოვნებს უყენებს. ასეთი ზეწოლა შესაძლებელია ხასიათდებოდეს მესამე ქვეყნების მოქალაქეთა უეცარი დიდი ნაკადის შემოსვლით, რომელთაც საერთაშორისო დაცვა სჭირდებათ და შეიძლება გამომდინარეობდეს წევრი სახელმწიფოს გეოგრაფიული და დემოგრაფიული მდგომარეობიდან.

მუხლი 9

ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი

1. განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ მყოფი წევრი სახელმწიფოების საჭიროებათა შეფასების მიზნით, მხარდაჭერის ოფისი წევრი სახელმწიფოების, გაეროს ლტოლვითა უმაღლესი კომისარიატისა და, ასევე, სხვა შესაბამისი ორგანიზაციების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე აგროვებს მონაცემებს, რათა ამგვარ ზეწოლასთან გამკლავებისთვის საჭირო გადაუდებელი ზომები მე-10 მუხლის შესაბამისად განსაზღვროს, მოამზადოს და ჩამოაყალიბოს.
2. განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ მყოფი წევრი სახელმწიფოების მიერ მიწოდებული მონაცემების საფუძველზე, მხარდაჭერის ოფისი სისტემატურად ადგენს, აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას ხელმისაწვდომი სტრუქტურებისა და თანამშრომლების შესახებ (განსაკუთრებით, თარგმანის უზრუნველყოფის მიზნით), წარმოშობის ქვეყნების შესახებ, თავშესაფრის მოპოვებაში დახმარებისა და განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ მყოფი ქვეყნების თავშესაფრის პოტენციალის შესახებ. ინფორმაციის მსგავსი დამუშავების მიზანი სხვადასხვა წევრი სახელმწიფოების შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს შორის ინფორმაციის სწრაფი და სანდო გაცვლის ხელშეწყობაა.
3. მხარდაჭერის ოფისი აანალიზებს მონაცემებს მესამე ქვეყნების მოქალაქეთა უეცარი მოზღვავეების შესახებ, რომელსაც შეიძლება თავშესაფრისა და მიმღებ სისტემებზე განსაკუთრებული ზეწოლა მოჰყვეს და უზრუნველყოფს წევრ სახელმწიფოებსა და კომისიას შორის შესაბამისი ინფორმაციის სწრაფ გაცვლას. მხარდაჭერის ოფისმა უნდა გამოიყენოს ადრეული გაფრთხილების არსებული სისტემები და მექანიზმები და, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი მიზნებისათვის შექმნას ადრეული გაფრთხილების ახალი სისტემა.

მუხლი 10

წევრი ქვეყნების მხარდამჭერი მოქმედებები

დაინტერესებული წევრი სახელმწიფოების თხოვნით, მხარდაჭერის ოფისი კოორდინაციას უწევს მოქმედებებს იმ წევრი სახელმწიფოების დასახმარებლად,

რომლებიც თავშესაფრისა და მიმღებ სისტემებზე განსაკუთრებულ ზეწოლას განიცდიან. მათ შორის, იგი კოორდინაციას უწევს:

ა) საქმიანობას, რომელიც განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ მყოფი წევრი სახელმწიფოების კომპეტენტურ ორგანოებს თავშესაფრის მოთხოვნის განაცხადების პირველად გაანალიზებაში დაეხმარება;

ბ) საქმიანობას, რომელიც განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ მყოფი ქვეყნების მიერ მიღების ყველა ღონისძიების - კერძოდ, საგანგებო განთავსების, ტრანსპორტირებისა და სამედიცინო დახმარების - უზრუნველყოფისაკენ არის მიმართული;

გ) თავშესაფრის მხარდამჭერ გუნდებს, რომელთა მუშაობის მექანიზმებიც მე-3 თავშია ჩამოყალიბებული.

კარი 3

თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის დანერგვაში წვლილის შეტანა

მუხლი 11

ინფორმაციის შეგროვება და გაცვლა

1. მხარდაჭერის ოფისი ორგანიზებასა და კოორდინაციას უწევს და ხელს უწყობს წევრი სახელმწიფოების თავშესაფრის ორგანოებს შორის და კომისიასა და წევრი სახელმწიფოების თავშესაფრის ორგანოებს შორის იმ ინფორმაციის გაცვლას, რომელიც კავშირის თავშესაფრის შეთანხმებების ყველა შესაბამისი დოკუმენტის განხორციელებას ეხება. ამ მიზნით, მხარდაჭერის ოფისმა შესაძლებელია შექმნას თავშესაფართან დაკავშირებული ეროვნული, კავშირის ფარგლებში მოქმედი ან საერთაშორისო დოკუმენტების ფაქტიური, სასამართლო და პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზები, რისთვისაც შეიძლება დაეყრდნოს არსებულ შეთანხმებებს. იმისათვის, რომ ზიანი არ მიადგეს მხარდაჭერის ოფისის საქმიანობას, რომელიც განსაზღვრულია მე-15 და მე-16 მუხლებით, აღნიშნული მონაცემთა ბაზები არ უნდა მოიცავდეს პირად მონაცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს მონაცემები გამოქვეყნებული დოკუმენტებიდან არის მოპოვებული.
2. მხარდაჭერის ოფისმა განსაკუთრებით უნდა შეაგროვოს შემდეგი ინფორმაცია:
 - ა) ეროვნული მთავრობებისა და სახელისუფლებო ორგანოების მიერ საერთაშორისო დაცვის განაცხადების განხილვის შესახებ;

ბ) თავშესაფრის სფეროში ეროვნული კანონმდებლობისა და სამართლებრივი განვითარების შესახებ, პრეცედენტული სამართლის ჩათვლით.

მუხლი 12

ანგარიშები და მხარდაჭერის ოფისის სხვა დოკუმენტები

1. სხვა წყაროებში უკვე არსებული ინფორმაციის ჯეროვანი გათვალისწინებით, მხარდაჭერის ოფისი ევროკავშირში თავშესაფრის სფეროში არსებული სიტუაციის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს ადგენს. ამ ანგარიშის ერთ-ერთი ნაწილი მხარდაჭერის ოფისმა შეიძლება დაუთმოს იმ საქმიანობის შეფასებას, რომელიც მოცემული დირექტივის შესაბამისად განხორციელდა და თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის ხარისხის, თანმიმდევრულობისა და ეფექტიანობის ამალგების მიზნით საფუძვლიანი შედარებითი ანალიზი წარმოადგინოს.
2. საკუთარი სამუშაო პროგრამის შესაბამისად ან მმართველი საბჭოსა და კომისიის მოთხოვნით, წევრი სახელმწიფოების ან ევროპის პარლამენტის შეხედულებების ჯეროვანი გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიასთან მჭიდრო კონსულტაციით, მხარდაჭერის ოფისს შეუძლია ევროკავშირის თავშესაფრის დოკუმენტების შესრულების შესახებ ტექნიკური დოკუმენტაცია გამოსცეს, სახელმძღვანელო მითითებებისა და ოპერაციული სახელმძღვანელოების ჩათვლით. ყოველთვის, როცა მსგავსი ტექნიკური დოკუმენტაცია ლტოლვილთა შესახებ საერთაშორისო კანონმდებლობის ნორმებზე მიუთითებს, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის შესაბამის სახელმძღვანელო პრინციპებს ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს. დოკუმენტები მიზნად არ უნდა ისახავდეს წევრი სახელმწიფოებისათვის საერთაშორისო დაცვის თაობაზე შემოსული განაცხადების დაკმაყოფილება-არდაკმაყოფილებასთან დაკავშირებით მითითებების მიცემას.

თავი 3

თავშესაფრის მხარდამჭერი გუნდები

მუხლი 13

კოორდინაცია

1. განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ მყოფ წევრ სახელმწიფოს ან სახელმწიფოებს შეუძლიათ, მხარდაჭერის ოფისს თავშესაფრის მხარდამჭერი გუნდების მათ ქვეყანაში განაწილების თხოვნით მიმართონ. მოთხოვნის წარმდგენმა წევრმა სახელმწიფომ ან სახელმწიფოებმა უნდა წარადგინონ სიტუაციის აღწერა, მიუთითონ

განლაგების მოთხოვნის მიზნები და განლაგებასთან დაკავშირებული მოთხოვნები მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტის ესაბამისად დააკონკრეტონ.

2. მსგავსი მოთხოვნის პასუხად, მხარდაჭერის ოფისს შეუძლია, კოორდინაცია გაუწიოს მოთხოვნის წარმდგენი წევრი სახელმწიფოსთვის ან სახელმწიფოებისთვის აუცილებელი ტექნიკური და ოპერატიული დახმარების აღმოჩენას და ამ წევრი სახელმწიფოს ან სახელმწიფოების ტერიტორიაზე შეზღუდული ვადით მხარდამჭერი გუნდის განაწილებას ოპერატიული გეგმის შესაბამისად, როგორც ამას მე-18 მუხლი ითვალისწინებს.

მუხლი 14

ტექნიკური დახმარება

თავშესაფრის მხარდამჭერი გუნდები უზრუნველყოფენ მე-18 მუხლში მითითებული ოპერატიული გეგმით შეთანხმებულ საექსპერტო დახმარებას, კერძოდ, მთარგმნელობით მომსახურებას, წარმოშობის ქვეყნის შესახებ ინფორმაციასა და თავშესაფრის საქმეების დამუშავებისა და მართვისთვის საჭირო ცოდნას წევრი ქვეყნებისათვის დახმარების ღონისძიებების ფარგლებში, როგორც ეს მე-10 მუხლშია მითითებული.

მუხლი 15

თავშესაფრის საინტერვენციო ჯგუფი

1. აღმასრულებელი დირექტორის წინადადების საფუძველზე, მმართველი საბჭო, კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე წევრების ხმათა სამი მეოთხედის უმრავლესობით, წყვეტს იმ ექსპერტების პროფილსა და რაოდენობას, რომლებიც თავშესაფრის მხარდამჭერ გუნდებში (შემდგომში: „თავშესაფრის საინტერვენციო ჯგუფი“) ჩაერთვებიან. მხარდაჭერის ოფისმა უნდა შეადგინოს თარჯიმნების სია, რომლებიც ასევე შეადგენენ თავშესაფრის საინტერვენციო ჯგუფის ნაწილს. იგივე პროცედურა ეხება თავშესაფრის საინტერვენციო ჯგუფის ექსპერტთა პროფილის ან რაოდენობის ნებისმიერ შემდგომ ცვლილებას.
2. წევრი სახელმწიფოები თავშესაფრის საინტერვენციო ჯგუფში უკვე არსებული პროფილის ექსპერტთა ეროვნული ჯგუფების საშუალებით, ან მოთხოვნილი პროფილის შესაბამისი ექსპერტების შეთავაზებით მონაწილეობენ.

წევრი სახელმწიფოები მხარდაჭერის ოფისს თარჯიმნების სიაში შესაყვანი თარჯიმნების განსაზღვრაში ეხმარებიან.

წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ აირჩიონ თარჯიმნების ადგილზე განაწილება ან მათი ხელმისაწვდომობა ვიდეო-კონფერენციის მეშვეობით.

მუხლი 16

განაწილება

1. მასპინძელი წევრი სახელმწიფო ექსპერტების პროფილისა და რაოდენობის (ეროვნული გუნდი) შერჩევისა და მათი განლაგების ხანგრძლივობის თვალსაზრისით ავტონომიას ინარჩუნებს. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ექსპერტების მზადყოფნა მხარდაჭერის ოფისის მოთხოვნით განაწილებისათვის, თუ არ იქმნება ისეთი სიტუაცია, რომელიც ქვეყნისთვის საჭირო მოვალეობების შესრულებაზე არსებით ზემოქმედებას ახდენს, მაგალითად, საერთაშორისო დაცვის მამიებელთა სტატუსის განსაზღვრის პროცედურების შემსრულებელ თანამშრომელთა არასაკმარისი რაოდენობა. მხარდაჭერის ოფისის თხოვნით, წევრმა სახელმწიფოებმა შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა შეატყობინონ მათი ეროვნული ჯგუფების შემადგენლობაში შემავალი იმ ექსპერტების რაოდენობა, გვარები და პროფილი, რომლებსაც შეუძლიათ, მაქსიმალურად სწრაფად შეუერთდნენ თავშესაფრის მხარდამჭერ გუნდს.
2. თავშესაფრის მხარდამჭერი გუნდის შემადგენლობის განსაზღვრისას, აღმასრულებელმა დირექტორმა მოთხოვნის წარმდგენი წევრი სახელმწიფოს კონკრეტული გარემოებები უნდა გაითვალისწინოს. თავშესაფრის მინიჭების მხარდამჭერი გუნდის შედგენა მე-18 მუხლში მითითებული ოპერატიული გეგმის თანახმად უნდა მოხდეს.

მუხლი 17

განაწილებაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურა

1. საჭიროების შემთხვევაში, აღმასრულებელ დირექტორს შეუძლია, მხარდაჭერის ოფისის ექსპერტები მოთხოვნის წარმდგენ წევრ სახელმწიფოში სიტუაციის შესაფასებლად გაგზავნოს.
2. აღმასრულებელმა დირექტორმა მმართველ საბჭოს თავშესაფრის მხარდამჭერი გუნდის განაწილების თაობაზე მიღებული ყველა თხოვნის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს.
3. თხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში, შეძლებისდაგვარად მოკლე დროში, აღმასრულებელმა დირექტორმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება თავშესაფრის მხარდამჭერი გუნდის განაწილების შესახებ.

აღმასრულებელმა დირექტორმა მმართველ საბჭოსა და მოთხოვნის წარმდგენ წევრ სახელმწიფოს საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ წერილობით უნდა აცნობოს და მიღებული გადაწყვეტილების ძირითადი მიზეზები ახსნას.

4. თუ აღმასრულებელი დირექტორი ერთი ან მეტი თავშესაფრის მხარდამჭერი გუნდის განაწილებას გადაწყვეტს, მხარდაჭერის ოფისმა და მოთხოვნის წარმდგენმა წევრმა სახელმწიფომ ოპერატიული გეგმა დაუყოვნებლივ, მე-18 მუხლის შესაბამისად უნდა შეიმუშავონ.
5. გეგმის შეთანხმებისთანავე, აღმასრულებელი დირექტორი ექსპერტების გამგზავნ წევრ სახელმწიფოებს საჭირო ექსპერტების რაოდენობას და მათ პროფილს ატყობინებს. ეს ინფორმაცია წერილობით უნდა გაეგზავნოს ეროვნულ საკონტაქტო პუნქტს, რომელიც მე-19 მუხლშია განსაზღვრული, და იქვე უნდა მიეთითოს განლაგების თარიღი. მასვე უნდა გაეგზავნოს ოპერატიული გეგმის ასლი.
6. აღმასრულებელი დირექტორის ადგილზე არყოფნის ან შეუძლოდ ყოფნის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას თავშესაფრის მხარდამჭერი გუნდის განლაგების შესახებ მისი მოვალეობის შემსრულებელი განყოფილების ხელმძღვანელი იღებს.

მუხლი 18

ოპერატიული გეგმა

1. აღმასრულებელი დირექტორი და მოთხოვნის წარმდგენი წევრი სახელმწიფო ათანხმებენ ოპერატიულ გეგმას, რომელშიც თავშესაფრის მხარდამჭერი გუნდის განაწილების პირობები დეტალურადაა ჩამოყალიბებული. ოპერატიულ გეგმაში უნდა შევიდეს:
 - ა) სიტუაციის აღწერა, მოქმედების ვითარება და განაწილების მიზნები, მათ შორის, ოპერატიული მიზანი;
 - ბ) გუნდის განაწილების წინასწარ განსაზღვრული ხანგრძლივობა;
 - გ) პასუხისმგებლობის გეოგრაფიული არეალი მოთხოვნის წარმდგენ წევრ სახელმწიფოში, რომელშიც გუნდები განაწილდებიან;
 - დ) მოვალეობების აღწერა და სპეციალური ინსტრუქცია გუნდის წევრებისათვის, მათ შორის, მონაცემთა ის ბაზა, რომლის გამოყენების უფლებაც მათ აქვთ და აღჭურვილობა, რომლის ტარების უფლებაც აქვთ მოთხოვნის წარმდგენ წევრ სახელმწიფოში; და
 - ე) გუნდის შემადგენლობა.

2. ოპერატიული გეგმის ნებისმიერი ჩასწორება ან შესაბამისობაში მოყვანა მოითხოვს როგორც აღმასრულებელი დირექტორის, ისე მოთხოვნის წარმდგენი სახელმწიფოს თანხმობას. მხარდაჭერის ოფისმა ჩასწორებული ან ადაპტირებული ოპერატიული გეგმის ასლი მონაწილე წევრ სახელმწიფოებს დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს.

მუხლი 19

ეროვნული საკონტაქტო პირი

თითოეული წევრი სახელმწიფო ნიშნავს ეროვნულ საკონტაქტო პირს, რომელიც მხარდაჭერის ოფისთან დამხმარე გუნდებთან დააკავშირებულ ყველა საკითხზე კომუნიკაციას უზრუნველყოფს.

მუხლი 20

კავშირის საკონტაქტო პირი

1. აღმასრულებელი დირექტორი, კოორდინაციის მიზნით, მხარდაჭერის ოფისის ერთ ან ორ ექსპერტს კავშირის საკონტაქტო პირად ნიშნავს. აღმასრულებელი დირექტორი მასპინძელ წევრ სახელმწიფოს ასეთი პირის დანიშვნის შესახებ ატყობინებს.
2. თავშესაფრის დამხმარე გუნდის განლაგების ყველა ასპექტთან დაკავშირებულ საკითხებში კავშირის საკონტაქტო პირმა მხარდაჭერის ოფისის სახელით უნდა იმოქმედოს. კერძოდ, კავშირის საკონტაქტო პირმა უნდა:
 - ა) შეასრულოს მხარდაჭერის ოფისსა და მასპინძელ წევრ სახელმწიფოს შორის დამაკავშირებელი ფუნქცია;
 - ბ) შეასრულოს მხარდაჭერის ოფისისა და თავშესაფრის დამხმარე გუნდების წევრებს შორის დამაკავშირებელი ფუნქცია და მხარდაჭერის ოფისის სახელით უზრუნველყოს დახმარება ყველა იმ საკითხში, რომელიც ამ გუნდების განლაგების პირობებთან არის დაკავშირებული;
 - გ) შეამოწმოს, თუ რამდენად სწორად სრულდება ოპერატიული გეგმა; და
 - დ) გააკეთოს მოხსენება მხარდაჭერის ოფისის თავშესაფრის დამხმარე გუნდების განლაგების ყველა ასპექტთან დაკავშირებით.
3. აღმასრულებელ დირექტორს შეუძლია, კავშირის საკონტაქტო პირს ხელი შეუწყოს ოპერატიული გეგმების შესრულებაში და მიანიჭოს თავშესაფრის დახმარების გუნდების განლაგებასთან დაკავშირებული დავების მოგვარების უფლებამოსილება.
4. საკუთარი მოვალეობების შესრულებისას, კავშირის საკონტაქტო პირი მითითებებს მხოლოდ მხარდაჭერის ოფისისაგან იღებს.

მუხლი 21

სამოქალაქო პასუხისმგებლობა

1. როდესაც თავშესაფრის დამხმარე გუნდის წევრები მასპინძელ წევრ სახელმწიფოში მუშაობენ, აღნიშნული წევრი სახელმწიფო, თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხისმგებლობას იღებს მუშაობის დროს მათ მიერ მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე.
2. როდესაც აღნიშნული ზიანი უხეში დაუდევრობით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებებით არის გამოწვეული, მასპინძელ წევრ სახელმწიფოს შეუძლია მშობლიურ წევრ სახელმწიფოს მიმართოს, რათა ამ უკანასკნელმა ანაზღაუროს თანხები, რომელიც მან მსხვერპლებს ან მათი სახელით მოქმედ პირებს გადაუხადა.
3. მესამე მხარეებთან მიმართებით, საკუთრი უფლებებით სარგებლობისთვის ზიანის მიყენების გარეშე, თითოეული წევრი სახელმწიფო უარს ამბობს მასპინძელი სახელმწიფოსაგან ან ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოსაგან მის მიერ განცდილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უხეში დაუდევრობითა და განზრახი არამართლზომიერი მოქმედებით არის გამოწვეული.
4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების განხორციელებასთან დაკავშირებით წევრ სახელმწიფოებს შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 273-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ორგანოს გადაეცემა, თუ მისი მოგვარება მოლაპარაკებების გზით ვერ ხერხდება.
5. მესამე მხარეებთან მიმართებით საკუთარი უფლებებით სარგებლობისთვის ზიანის მიყენების გარეშე, მხარდაჭერის ოფისის კუთვნილი აღჭურვილობის დაზიანებით გამოწვეულ ხარჯებს მხარდაჭერის ოფისი ანაზღაურებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს უხეში დაუდევრობითა და განზრახი არამართლზომიერი მოქმედებით არის გამოწვეული.

მუხლი 22

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა

თავშესაფრის მხარდამჭერი გუნდის საქმიანობის პერიოდში, თავშესაფრის მხარდამჭერი გუნდის წევრები, მათ წინააღმდეგ ან მათ მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევაში, მასპინძელი სახელმწიფოს თანამდებობის პირების თანაბარი უფლებებით სარგებლობენ.

მუხლი 23

ხარჯები

როდესაც წევრი სახელმწიფოები თავიანთ ექსპერტებს თავშესაფრის მხარდამჭერ გუნდში მიავლენენ, მხარდაჭერის ოფისი ფარავს შემდეგ ხარჯებს:

ა) მგზავრობა წარმოშობის წევრი სახელმწიფოდან მასპინძელ წევრ სახელმწიფომდე და მასპინძელი წევრი სახელმწიფოდან წარმოშობის წევრ სახელმწიფომდე;

ბ) აცრები;

გ) აუცილებელი სპეციალური დაზღვევა;

დ) ჯანმრთელობის დაცვა;

ე) ყოველდღიური სამივლინებო თანხა, საცხოვრებლის ხარჯების ჩათვლით;

ვ) მხარდაჭერის ოფისის ტექნიკური აღჭურვილობა; და

გ) ექსპერტთა ჰონორარები.

თავი 4

მხარდაჭერის ოფისის ორგანიზება

მუხლი 24

მხარდაჭერის ოფისის ადმინისტრაციული და მმართველობის სტრუქტურა

მხარდაჭერის ოფისის ადმინისტრაციული და მმართველობის სტრუქტურა შედგება:

ა) საბჭოსაგან;

ბ) აღმასრულებელი დირექტორისა და მხარდაჭერის ოფისის თანამშრომლებისაგან.

მხარდაჭერის ოფისის ადმინისტრაციული და მმართველობის სტრუქტურის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს აღმასრულებელი კომიტეტი, თუ ასეთი შეიქმნება 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 25

მმართველი საბჭოს შემადგენლობა

1. თითოეული წევრი სახელმწიფო, რომლისთვისაც მოცემული დირექტივის შესრულება სავალდებულოა, მმართველ საბჭოში ნიშნავს ერთ წევრს, ხოლო კომისია ნიშნავს ორ წევრს.
2. მმართველი საბჭოს თითოეული წევრი შეიძლება იყოს წარმოდგენილი შემცვლელით ან თან ახლდეს შემცვლელი; წევრის ყოფნის შემთხვევაში, შემცვლელი საბჭოს სხდომას ხმის უფლების გარეშე ესწრება.

3. მმართველი საბჭოს წევრები თავშესაფრის საკითხებში გამოცდილების, პროფესიული პასუხისმგებლობისა და ცოდნის მაღალი დონის საფუძველზე ინიშნებიან.
4. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ერთი წარმომადგენელი მმართველი საბჭოს წევრი კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე ხდება.
5. მმართველი საბჭოს წევრების უფლებამოსილება განისაზღვრება სამი წლის ვადით. უფლებამოსილების ვადის გაგრძელება შესაძლებელია. უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდეგ ან თანამდებობიდან გადადგომის შემთხვევაში, მმართველი საბჭოს წევრები თანამდებობაზე რჩებიან ვადის გაგრძელების დადასტურებამდე ან შემცვლელის დანიშვნამდე.

მუხლი 26

მმართველი საბჭოს თავმჯდომარე

1. მმართველი საბჭო ხმის უფლების მქონე წევრებისგან თავმჯდომარესა და თავმჯდომარის მოადგილეს ირჩევს. თავმჯდომარის მოადგილე ავტომატურად ცვლის თავმჯდომარეს იმ შემთხვევაში, თუ ის საკუთარი მოვალეობების შესრულებას ვერ ახერხებს.
2. თავმჯდომარისა და თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილების ვადა სამი წელია და მისი გახანგრძლივება ახალი ვადით მხოლოდ ერთხელ არის შესაძლებელი. ამასთანავე, თუ მმართველი საბჭოს წევრობის ვადა იჭურება თავმჯდომარეობის ან თავმჯდომარის მოადგილეობის პერიოდში, ეს უფლებამოსილებაც ავტომატურად სრულდება იმავე დღეს.

მუხლი 27

მმართველი საბჭოს შეხვედრები

1. მმართველი საბჭოს შეხვედრებს თავმჯდომარე იწვევს. შეხვედრებში მონაწილეობს ადმასრულებელი დირექტორი. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელი შეხვედრაში არ მონაწილეობს, როდესაც მმართველი საბჭო ასრულებს იმ ფუნქციებს, რომლებიც 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“, „თ“, „ი“, „კ“ და „ნ“ პუნქტებსა და 29-ე მუხლის მე-2 პუნქტშია ჩამოყალიბებული და ასევე, როცა მმართველი საბჭო განიხილავს ფინანსური რესურსების გამოყოფის საკითხს იმ ღონისძიებების დასაფინანსებლად, რომლებიც მხარდაჭერის ოფისს საშუალებას მისცემს, ისარგებლოს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის გამოცდილებით თავშესაფრის საკითხებში, როგორც ეს 50-ე მუხლშია აღნიშნული.

2. მმართველი საბჭო წელიწადში, სულ მცირე, ორ რიგით შეხვედრას ატარებს. გარდა ამისა, საბჭო ასევე შეიძლება შეიკრიბოს თავმჯდომარის ინიციატივით ან წევრების ერთი მესამედის თხოვნით.
3. მმართველ საბჭოს შეუძლია, შეხვედრაზე დამკვირვებლის სტატუსით მიიწვიოს ნებისმიერი პირი, რომლის აზრიც შეიძლება საინტერესო იყოს.
4. მმართველი საბჭოს სამდივნოს უზრუნველყოფს მხარდაჭერის ოფისი.

მუხლი 28

კენჭისყრა

1. თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული, მმართველი საბჭო გადაწყვეტილებას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე წევრების ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით იღებს. თითოეული ხმის უფლების მქონე წევრს მხოლოდ ერთი ხმის უფლება აქვს. რომელიმე წევრის არყოფნის შემთხვევაში, მის შემცვლელს შეუძლია, მისი ხმის უფლებით ისარგებლოს.
2. აღმასრულებელი დირექტორი კენჭისყრის პროცესში არ მონაწილეობს.
3. თავმჯდომარე კენჭისყრის პროცესში მონაწილეობს.
4. წევრი სახელმწიფოები, რომლებიც თავშესაფრის სფეროსთან დაკავშირებულ ევროკავშირის შეთანხმებებში სრულად არ მონაწილეობენ, კენჭისყრაში არ მონაწილეობენ, როდესაც მმართველმა საბჭომ გადაწყვეტილება 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე უნდა მიიღოს და როცა განსახილველი ტექნიკური დოკუმენტი ეხება მხოლოდ თავშესაფართან დაკავშირებულ ევროკავშირის კანონებს, რომლებიც მათთვის სავალდებულო არ არის.
5. მმართველი საბჭოს პროცედურული ნორმები უფრო დეტალურად ადგენს კენჭისყრის ღონისძიებებს, კერძოდ, იმ გარემოებებს, რომელთა ფარგლებშიც წევრ სახელმწიფოს სხვა წევრი სახელმწიფოს სახელით მოქმედების უფლება აქვს და კვორუმის მოთხოვნებს, სადაც ეს აუცილებელია.

მუხლი 29

მმართველი საბჭოს ფუნქციები

1. მმართველი საბჭო უზრუნველყოფს, რომ მხარდაჭერის ოფისმა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. საბჭო წარმოადგენს მხარდაჭერის ოფისის დამგეგმავ და მაკონტროლებელ ორგანოს. კერძოდ, საბჭო:

- ა) კენჭისყრის უფლების მქონე წევრების სამი მეოთხედი ხმების უმრავლესობით და კომისიის აზრის მოსმენის შემდეგ, ამტკიცებს მის პროცედურულ ნორმებს;
- ბ) ნიშნავს აღმასრულებელ დირექტორს 30-ე მუხლის შესაბამისად, ენიჭება დისციპლინური უფლებამოსილება აღმასრულებელი დირექტორის მიმართ და, საჭიროების შემთხვევაში, აჩერებს მის საქმიანობას ან ათავისუფლებს მას;
- გ) ამტკიცებს ყოველწლიურ ერთიან ანგარიშს მხარდაჭერის ოფისის საქმიანობის შესახებ და, ყოველი შემდგომი წლის 15 ივნისამდე, ევროპის პარლამენტში, საბჭოში, კომისიასა და კონტროლის პალატაში აგზავნის. ყოველწლიური საერთო ანგარიში საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს.
- დ) ამტკიცებს ყოველწლიურ ანგარიშს კავშირში თავშესაფართან დაკავშირებით არსებული სიტუაციის შესახებ, მე-12 მუხლის 1-ელი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული ანგარიში ანგარიში ევროპის პარლამენტს უნდა წარედგინოს. საბჭომ და კომისიამ შეიძლება მოითხოვონ, რომ ანგარიში მათაც გაეგზავნოთ;
- ე) ამტკიცებს მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებულ ტექნიკურ დოკუმენტებს;
- ვ) ყოველი წლის 30 სექტემბრისთვის, აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარმოდგენილი პროექტის საფუძველზე და კომისიის მოსაზრების მიღების შემდეგ, ხმის უფლების მქონე წევრების ხმათა სამი მეოთხედის უმრავლესობით ამტკიცებს მხარდაჭერის ოფისის მომდევნო წლის სამუშაო პროგრამას და მას ევროპის პარლამენტს, საბჭოსა და კომისიას უგზავნის. ეს სამუშაო პროგრამა კავშირის ყოველწლიური საბიუჯეტო პროცედურის და თავშესაფრის სფეროში კავშირის მუშაობის საკანონმდებლო პროგრამის შესაბამისად მტკიცდება;
- ზ) ასრულებს საკუთარ მოვალეობებს მხარდაჭერის ოფისის ბიუჯეტთან დაკავშირებით, როგორც ამას მე-5 თავი ითვალისწინებს;
- თ) ამტკიცებს ევროკომისიის (EC) No 1049/2001 რეგულაციის გამოყენების დეტალურ წესებს, წინამდებარე დირექტივის 42-ე მუხლის შესაბამისად;
- ი) ამტკიცებს მხარდაჭერის ოფისის საშტატო პოლიტიკას, 38-ე მუხლის შესაბამისად;
- კ) კომისიის მოსაზრების მოთხოვნის შემდეგ, ამტკიცებს საშტატო პოლიტიკის მრავალწლიან გეგმას;
- ლ) იღებს ნებისმიერ გადაწყვეტილებას მხარდაჭერის ოფისის მიერ მანდატით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების მიზნით, როგორც ამას წინამდებარე დირექტივა ითვალისწინებს;

მ) იღებს ნებისმიერ გადაწყვეტილებას მოცემული დირექტივით გათვალისწინებული საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების შესახებ, საინფორმაციო პორტალის ჩათვლით, რომელზეც მითითებულია მე-4 მუხლის „გ“ პუნქტში; და

ნ) იღებს ნებისმიერ გადაწყვეტილებას მხარდაჭერის ოფისის შიდა სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და, საჭიროების შემთხვევაში, მათ ცვლილებაზე.

2. მმართველ საბჭოს შეუძლია, დააარსოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის მიზანიც საბჭოსა და აღმასრულებელი დირექტორისთვის გადაწყვეტილებების, სამუშაო პროგრამებისა და საქმიანობის გეგმის მომზადებაში დახმარების გაწევა იქნება. აღნიშნული პროგრამები და გეგმები მმართველმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს. აუცილებლობის შემთხვევაში და საკითხის გადაუდებლობის გამო, აღმასრულებელმა კომიტეტმა შეიძლება, მმართველი საბჭოს სახელით დროებითი გადაწყვეტილებები მიიღოს.

აღმასრულებელი კომიტეტი უნდა შედგებოდეს მმართველი საბჭოს შემადგენლობიდან დანიშნული რვა წევრისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი კომისიის წევრი უნდა იყოს. აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა უფლებამოსილების ვადა ისეთივეა, როგორც მმართველი საბჭოს წევრებისა.

აღმასრულებელი კომიტეტის თხოვნით, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელს ან სხვა პირს, რომლის აზრიც შეიძლება საინტერესო იყოს, შეუძლია, აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებს ხმის უფლების გარეშე დაესწროს.

მხარდაჭერის ოფისი აღმასრულებელი კომიტეტის ოპერატიულ პროცედურებს მხარდაჭერის ოფისის პროცედურული ნორმების ფარგლებში ადგენს და ამ პროცედურებს ასაჯაროებს.

მუხლი 30

აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა

1. აღმასრულებელ დირექტორს მმართველი საბჭო კომისიის მიერ ორგანიზებული ღია კონკურსის წესით შერჩეული კანდიდატებიდან, ხუთი წლის ვადით ნიშნავს. შერჩევის ეს პროცედურა გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მოსაწვევი განცხადების განთავსებას *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* ან სხვაგან. მმართველ საბჭოს ახალი პროცედურის მოთხოვნა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ პირველ სიაში შეყვანილი კანდიდატების მახასიათებლები გარკვეულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს. აღმასრულებელი დირექტორი ინიშნება მისი პირადი დამსახურების, თავშესაფრის სფეროში გამოცდილების, ადმინისტრაციული და

მენეჯერული უნარ-ჩვევების საფუძველზე. დანიშვნამდე, მმართველი საბჭოს მიერ შერჩეულ კანდიდატს ევროპის პარლამენტის კომპეტენტური კომიტეტის ან კომიტეტების წინაშე სიტყვით გამოსვლისათვის და კითხვებზე პასუხის გასაცემად იწვევენ.

სიტყვით გამოსვლის შემდეგ, ევროპის პარლამენტი ამზადებს დასკვნას, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება მისი შეხედულება შერჩეული კანდიდატის მიმართ. მმართველი საბჭო აცნობებს ევროპის პარლამენტს, თუ რა ფორმით იქნა გათვალისწინებული მისი დასკვნა. კანდიდატის დანიშვნამდე ეს დასკვნა პირად და კონფიდენციალურ მოსაზრებად განიხილება.

აღმასრულებელი დირექტორის ხუთწლიანი უფლებამოსილების ბოლო ცხრა თვის განმავლობაში კომისია ატარებს შეფასებას, რომლის დროსაც ძირითადი ყურადღება ექცევა:

- აღმასრულებელი დირექტორის მუშაობის ხარისხს; და
 - მხარდაჭერის ოფისის მოვალეობებსა და საჭიროებებს მომავალი წლისათვის.
2. ამ შეფასების გათვალისწინებით, მმართველ საბჭოს შეუძლია, აღმასრულებელ დირექტორს უფლებამოსილება გაუგრძელოს მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს სამი წლის ვადით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვადის გაგრძელება მხარდაჭერის ოფისის მიზნებითა და საჭიროებებით არის გამართლებული.
 3. მმართველი საბჭო ევროპის პარლამენტს აღმასრულებელი დირექტორისათვის ვადის გაგრძელების განზრახვის შესახებ აცნობინებს. უფლებამოსილების გაგრძელებამდე ერთი თვით ადრე, აღმასრულებელ დირექტორს ევროპის პარლამენტის კომპეტენტური კომიტეტის ან კომიტეტების წინაშე სიტყვით წარსადგომად და მათი წევრების მიერ დასმულ კითხვებზე პასუხების გასაცემად იწვევენ.

მუხლი 31

აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობები

1. მხარდაჭერის ოფისს მართავს მისი აღმასრულებელი დირექტორი, რომელიც დამოუკიდებელია თავისი მოვალეობების შესრულებაში. აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშვალდებულია მმართველი საბჭოს წინაშე.
2. კომისიის უფლებამოსილების შეუზღუდავად, მმართველი საბჭო ან აღმასრულებელი კომიტეტი, ამ უკანასკნელის ჩამოყალიბების შემთხვევაში და აღმასრულებელი დირექტორი, რომელიმე მთავრობის ან სხვა ორგანოსაგან ინსტრუქციებს არ ითხოვენ და არ იღებენ.

3. მიწვევის შემთხვევაში, აღმასრულებელი დირექტორი ევროპის პარლამენტის წინაშე თავისი მოვალეობების შესრულების შესახებ მოხსენებას აკეთებს. საბჭოს შეუძლია, აღმასრულებელი დირექტორი მისი მოვალეობების შესრულების შესახებ მოხსენების გასაკეთებლად მიიწვიოს.
4. აღმასრულებელი დირექტორი მხარდაჭერის ოფისის კანონიერი წარმომადგენელია.
5. აღმასრულებელ დირექტორს შეიძლება დახმარება გაუწიოს განყოფილების ერთმა ან რამდენიმე ხელმძღვანელმა. თუ აღმასრულებელი დირექტორი ადგილზე არ არის ან შეუძლოდაა, მას ცვლის განყოფილების ხელმძღვანელი.
6. აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია მხარდაჭერის ოფისის ადმინისტრაციულ მართვაზე და მისთვის ამ დირექტივით დაკისრებული მოვალეობების შესრულებაზე. კერძოდ, აღმასრულებელი დირექტორი პასუხისმგებელია:
 - ა) მხარდაჭერის ოფისის ყოველდღიურ ადმინისტრირებაზე;
 - ბ) მხარდაჭერის ოფისის სამუშაო პროგრამების შედგენაზე კომისიის მოსაზრების მიღების შემდეგ;
 - გ) სამუშაო პროგრამებისა და მმართველი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაზე;
 - დ) წარმოშობის ქვეყნის შესახებ ანგარიშების მომზადებაზე, როგორც ამას მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტი მოითხოვს;
 - ე) 37-ე მუხლის შესაბამისად მმართველი საბჭოს მიერ დასამტკიცებელი მხარდაჭერის ოფისის ფინანსური წესდების პროექტისა და მისი განხორციელების წესების შემუშავებაზე;
 - ვ) მხარდაჭერის ოფისის შემოსავლებისა და გასავლების და ბიუჯეტის შესრულების შესახებ განაცხადების პროექტის მომზადებაზე;
 - ზ) მხარდაჭერის ოფისის თანამშრომლებთან მიმართებით 38-ე მუხლში ჩამოთვლილი უფლებების განხორციელებაზე;
 - თ) საინფორმაციო სისტემების მართვასთან, მათ შორის, მე-4 მუხლის „გ“ პუნქტში მითითებულ საინფორმაციო პორტალთან დაკავშირებით ყველა გადაწყვეტილების მიღებაზე, ამ დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად;
 - ი) მხარდაჭერის ოფისის შიდა სტრუქტურების მართვასთან დაკავშირებული ყველა გადაწყვეტილების მიღებაზე; და

კ) 51-ე მუხლში მითითებული საკონსულტაციო ფორუმის კოორდინაციასა და საქმიანობაზე. ამ თვალსაზრისით, აღმასრულებელი დირექტორი, სამოქალაქო საზოგადოების შესაბამის ორგანიზაციებთან კონსულტაციით, თავდაპირველად ამტკიცებს საკონსულტაციო ფორუმის შექმნის გეგმას. ფორუმის ფორმალური შექმნის შემდეგ, აღმასრულებელი დირექტორი, საკონსულტაციო ფორუმთან კონსულტაციით, ამტკიცებს საქმიანობის გეგმას, რომელიც კონსულტაციების სიხშირისა და მათი ხასიათის განმსაზღვრელ წესებსა და 51-ე მუხლის განხორციელებისთვის საჭირო ორგანიზაციულ მექანიზმებს მოიცავს. ასევე, უნდა შეთანხმდეს გამჭვირვალე კრიტერიუმები ფორუმში მიმდინარე მონაწილეობისთვის.

მუხლი 32

სამუშაო ჯგუფები

1. მოცემულ დირექტივაში განსაზღვრული მანდატის მიხედვით, მხარდაჭერის ოფისს შეუძლია ჩამოაყალიბოს სამუშაო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაშიც იქნებიან წევრი სახელმწიფოების კომპეტენტური ორგანოების ექსპერტები, მოსამართლეების ჩათვლით. მხარდაჭერის ოფისი მე-4 მუხლის „ე“ პუნქტისა და მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის სამუშაო ჯგუფებს ქმნის. ექსპერტების ჩანაცვლება შესაძლებელია მათი შემცვლელებით, რომლებიც იმავე დროს არიან დანიშნული.
2. კომისია სამუშაო ჯგუფებში მისთვის მინიჭებული უფლებით მონაწილეობს. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენლებს უფლება აქვთ, მხარდაჭერის ოფისის სამუშაო ჯგუფების ყველა ან ზოგიერთ შეხვედრას დაესწრონ, განსახილველი საკითხების ბუნებიდან გამომდინარე.
3. სამუშაო ჯგუფებს შეუძლიათ კრებაზე დასასწრებად მოიწვიონ ნებისმიერი პირი, რომლის აზრიც საინტერესო შეიძლება იყოს, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც თავშესაფრის საკითხებზე მუშაობენ.

თავი 5

ფინანსური დებულებები

მუხლი 33

ბიუჯეტი

1. მხარდაჭერის ოფისის შემოსავლებისა და ხარჯების გაანგარიშება მზადდება ყოველი ფინანსური წლისათვის, რომელიც შეესაბამება კალენდარულ წელს და აისახება მხარდაჭერის ოფისის ბიუჯეტში.

2. მხარდაჭერის ოფისის ბიუჯეტი შემოსავლებისა და ხარჯების თვალსაზრისით დაბალანსებული უნდა იყოს.
3. სხვა წყაროებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, მხარდაჭერის ოფისის შემოსავლებს შედგენს:
 - ა) კავშირის შენატანი ევროპის კავშირის საერთო ბიუჯეტში;
 - ბ) წევრი სახელმწიფოების ნებისმიერი ნებაყოფლობითი შენატანი;
 - გ) პუბლიკაციებისა და მხარდაჭერის ოფისის მიერ გაწეული სხვა მომსახურების საფასური;
 - დ) ასოცირებული ქვეყნების შენატანები.
4. მხარდაჭერის ოფისის ხარჯები მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებს, ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ ხარჯებსა და საოპერაციო ხარჯებს.

მუხლი 34

ბიუჯეტის დადგენა

1. აღმასრულებელი დირექტორი ყოველწლიურად ადგენს მხარდაჭერის ოფისის მომავალი წლის შემოსავლებისა და გასავლების ხარჯთაღრიცხვის განაცხადის პროექტს, საშტატო განრიგის ჩათვლით და მმართველ საბჭოს უგზავნის.
2. ამ პროექტის საფუძველზე, მმართველი საბჭო ადგენს მხარდაჭერის ოფისის შემოსავლებისა და გასავლების ხარჯთაღრიცხვის შუალედურ პროექტს მომდევნო საფინანსო წლისათვის.
3. მხარდაჭერის ოფისის შემოსავლებისა და ხარჯების შუალედური ხარჯთაღრიცხვის პროექტი კომისიას ყოველი წლის 10 თებერვლისთვის ეგზავნება. ხარჯთაღრიცხვის საბოლოო პროექტს, რომელიც ასევე შეიცავს საშტატო განრიგს, მმართველი საბჭო კომისიას 31 მარტისთვის უგზავნის.
4. კომისია ხარჯთაღრიცხვის განაცხადს, ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის პროექტთან ერთად, ევროპის პარლამენტსა და საბჭოს (საბიუჯეტო ორგანოს) უგზავნის.
5. ხარჯთაღრიცხვის განაცხადის საფუძველზე, კომისია ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის პროექტში შეიტანს იმ გაანგარიშებებს, რომლებსაც საჭიროდ მიიჩნევს საშტატო განრიგისათვის და საერთო ბიუჯეტიდან მისაღები სუბსიდიების მოცულობას, რომელსაც იგი ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 313-ე და 314-ე მუხლების შესაბამისად, საბიუჯეტო ორგანოს წარუდგენს.

6. საბიუჯეტო ორგანო გასცემს მხარდაჭერის ოფისის სუბსიდირების უფლებამოსილებას.
7. საბიუჯეტო ორგანო ამტკიცებს მხარდაჭერის ოფისის საშტატო განრიგს.
8. მხარდაჭერის ოფისის ბიუჯეტს ამტკიცებს მმართველთა საბჭო. ბიუჯეტი საბოლოო გახდება ევროპის კავშირის საერთო ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში, მასში შეტანილი იქნება შესაბამისი შესწორებები.
9. მაქსიმალურად უმოკლეს დროში, მმართველი საბჭო საბიუჯეტო ორგანოს აცნობებს ახალი პროექტის განხორციელების განზრახვის შესახებ, განსაკუთრებით, თუ ამ პროექტს შესამჩნევი გავლენა ექნება ბიუჯეტის დაფინანსებაზე, კერძოდ, თუ ის ეხება უძრავ ქონებას, შენობების დაქირავებას ან შესყიდვას. აღნიშნულის შესახებ იგი აცნობებს კომისიას.
10. თუ საბიუჯეტო ორგანოს რომელიმე ფილიალი განაცხადებს, რომ აპირებს საკუთარი მოსაზრების გამოთქმას, მან ეს მოსაზრება მმართველ საბჭოს პროექტის შეტყობინების დღიდან ექვსი კვირის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს.

მუხლი 35

ბიუჯეტის შესრულება

1. მხარდაჭერის ოფისის ბიუჯეტის აღსრულებაზე პასუხისმგებელია აღმასრულებელი დირექტორი.
2. აღმასრულებელი დირექტორი საბიუჯეტო ორგანოს ყოველწლიურად უგზავნის სრულ ინფორმაციას შეფასების პროცედურების შედეგების შესახებ.

მუხლი 36

ანგარიშების წარდგენა და გადახდები

1. ყოველი ფინანსური წლის მომდევნო 1-ელი მარტისათვის, მხარდაჭერის ოფისის ბუღალტერი საბუღალტრო აღრიცხვის წინაწარ ანგარიშებს და იმ ფინანსური წლის საბიუჯეტო და ფინანსური მართვის ანგარიშს კომისიის ბუღალტერს უგზავნის. კომისიის ბუღალტერი უწყებებისა და დეცენტრალიზებული ორგანოების წინასწარ ანგარიშებს ფინანსური რეგლამენტის 128-ე მუხლის შესაბამისად აერთიანებს.
2. ყოველი ფინანსური წლის მომდევნო 31 მარტისთვის, კომისიის ბუღალტერი მხარდაჭერის ოფისის წინასწარ ანგარიშებს, იმ წლის საბიუჯეტო და ფინანსური მართვის ანგარიშთან ერთად, ევროპის აუდიტის სასამართლოში აგზავნის. იმ წლის

საბიუჯეტო და ფინანსური მენეჯმენტის ანგარიში ასევე იგზავნება ევროპის პარლამენტსა და საბჭოში.

3. ფინანსური რეგლამენტის 129-ე მუხლის შესაბამისად, მხარდაჭერის ოფისის წინასწარი ანგარიშების თაობაზე აუდიტის სასამართლოს შენიშვნების მიღებისთანავე, აღმასრულებელი დირექტორი, საკუთარი პასუხისმგებლობით, ადგენს მხარდაჭერის ოფისის საბოლოო ანგარიშს და დასკვნისათვის მმართველ საბჭოს წარუდგენს.
4. მმართველი საბჭო აკეთებს დასკვნას მხარდაჭერის ოფისის საბოლოო ანგარიშების თაობაზე.
5. მომდევნო ფინანსური წლის 1-ელ ივლისამდე, აღმასრულებელი დირექტორი საბოლოო ანგარიშებსა და მმართველი საბჭოს დასკვნას ევროპის პარლამენტს, საბჭოს, კომისიასა და აუდიტის სასამართლოს უგზავნის.
6. საბოლოო ანგარიშები უნდა გამოქვეყნდეს.
7. აღმასრულებელი დირექტორი შენიშვნებზე პასუხს აუდიტის სასამართლოს 30 სექტემბრამდე უგზავნის. ამ პასუხს ის ასევე უგზავნის მმართველ საბჭოს.
8. აღმასრულებელი დირექტორი ევროპის პარლამენტში, ამ უკანასკნელის თხოვნით, მოცემული ფინანსური წლის გადახდების პროცედურის შეუფერხებელი ჩატარებისათვის აუცილებელ ნებისმიერ ინფორმაციას წარადგენს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური რეგლამენტის 146-ე მუხლის მე-3 პუნქტი.
9. ხმების კვალიფიციური უმრავლესობით მოქმედი საბჭოს რეკომენდაციით, ევროპის პარლამენტი, N + 2 წლის 15 მაისამდე, აღმასრულებელი დირექტორის მიერ N წლის ბიუჯეტს შესრულებულად მიიჩნევს.

მუხლი 37

ფინანსური რეგლამენტი

მხარდაჭერის ოფისის შებამის ფინანსურ რეგლამენტს მმართველთა საბჭო კომისიასთან კონსულტაციების შემდეგ ამტკიცებს. იგი არ უნდა გაცდეს კომისიის (EC, ევრატომი) 2002 წლის 19 ნოემბრის No 2343/2002 რეგულაციას, რომელიც ადგენს ევროპული თანამეგობრობის¹¹ საერთო ბიუჯეტის შესაბამის ფინანსურ რეგულაციებს იმ ორგანოების ჩარჩო ფინანსური რეგლამენტის შესახებ, რომლებიც კომისიის No 1605/2002 რეგულაციის 185-ე მუხლშია მითითებული, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გადახრა არ არის გამოწვეული მხარდაჭერის ოფისის კონკრეტული საქმიანობით, რომლის მიმართაც არსებობს კომისიის თანხმობა.

თავი 6

დებულებები პერსონალის შესახებ

მუხლი 38

პერსონალი

1. No 259/68¹² რეგულაციით (EEC, ევრატომი, ECSC) განსაზღვრული საკადრო რეგულაციები ევროპული თანამეგობრობის თანამდებობის პირთა და ევროპული თანამეგობრობის სხვა მოსამსახურეთა დასაქმების შესახებ (შემდგომში: „საკადრო რეგულაციები“) და ამ საკადრო რეგულაციებისა და დასაქმების პირობების გამოყენების მიზნით კავშირის ინსტიტუტების მიერ ერთობლივად მიღებული წესები ვრცელდება მხარდაჭერის ოფისის თანამშრომლებზე, აღმასრულებელი დირექტორის ჩათვლით.
2. კომისიასთან შეთანხმებით, მმართველი საბჭო ამტკიცებს განხორციელების აუცილებელ ზომებს, საკადრო რეგულაციების 110-ე მუხლის შესაბამისად.
3. უფლებამოსილებას, რომელსაც საკადრო რეგულაციები დამქირავებელს სამსახურში მიღებასა და სხვა მოსამსახურეების დაქირავებაზე ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებით აკისრებს, მხარდაჭერის ოფისი ახორციელებს, როდესაც ეს მის თანამშრომლებს ეხება.
4. მმართველი საბჭო ამტკიცებს დებულებებს მხარდაჭერის ოფისში წევრი სახელმწიფოებიდან მივლინებული ეროვნული ექსპერტების სამსახურში დანიშვნის შესახებ.

მუხლი 39

პრივილეგიები და იმუნიტეტები

მხარდაჭერის ოფისზე ვრცელდება ევროპის კავშირის პრივილეგიებისა და იმუნიტეტების ოქმი.

თავი 7

ზოგადი დებულებები

მუხლი 40

სამართლებრივი სტატუსი

1. მხარდაჭერის ოფისი არის ევროპის კავშირის ორგანო. მას აქვს სამართლებრივი სტატუსი.

2. თითოეულ წევრ სახელმწიფოში მხარდაჭერის ოფისი სარგებლობს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით იურიდიული პირებისათვის გათვალისწინებული ყველაზე ფართო სამართალდამცველი უფლებამოსილებით.
3. მხარდაჭერის ოფისს წარმოადგენს მისი აღმასრულებელი დირექტორი.

მუხლი 41

ენობრივი სისტემა

1. მხარდაჭერის ოფისზე სრულად ვრცელდება 1958 წლის 15 აპრილის No 1 რეგულაციაში მოცემული დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს ევროპულ ეკონომიკურ თანამეგობრობაში გავრცელებულ სამუშაო ენებს.¹³
2. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 342-ე მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, მხარდაჭერის ოფისის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და ყოველწლიური სამუშაო პროგრამა, რომელიც განსაზღვრულია 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „გ“ და „ვ“ მუხლებში, ევროკავშირის ინსტიტუტების ყველა ოფიციალურ ენაზე იწერება.
3. მხარდაჭერის ოფისის ფუნქციონირებისათვის აუცილებელ მთარგმნელობით მომსახურებას ევროკავშირის ორგანოების თარგმნის ცენტრი უზრუნველყოფს.

მუხლი 42

დოკუმენტების ხელმისაწვდომობა

1. (EC) No 1049/2001 რეგულაცია ეხება მხარდაჭერის ოფისის დოკუმენტებს.
2. მმართველი საბჭო, პირველი შეხვედრიდან ექვსი თვის განმავლობაში ამტკიცებს (EC) No 1049/2001 რეგულაციის გამოყენების დეტალურ წესებს.
3. მხარდაჭერის ოფისის მიერ (EC) No 1049/2001 რეგულაციის მე-8 მუხლის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებები შეიძლება გახდეს ომბუდსმენტთან საჩივრით მიმართვის ან ევროკავშირის სასამართლოში საქმის აღძვრის საგანი ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, 228-ე და 263-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე.
4. მხარდაჭერის ოფისის მიერ პირადი მონაცემების დამუშავება (EC) No 45/2001 რეგულაციას ექვემდებარება.

მუხლი 43

უსაფრთხოების წესები საიდუმლო და არასაიდუმლო მგრძნობიარე ინფორმაციის დაცვის შესახებ

1. მხარდაჭერის ოფისი იყენებს უსაფრთხოების პრინციპებს, რომლებიც მოცემულია კომისიის 2001 წლის 29 ნოემბრის 2001/844/EC გადაწყვეტილებაში (ECSC, ევრატიმი), რომლითაც შესწორდა მისი შიდა პროცედურული წესები,¹⁴ საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის, დამუშავებისა და შენახვის დებულებების ჩათვლით.
2. მხარდაჭერის ოფისი უსაფრთხოების პრინციპებს ასევე იყენებს არასაიდუმლო მგრძნობიარე ინფორმაციის დამუშავებისთვის, როგორც ეს მიღებული და დანერგულია კომისიის მიერ.

მუხლი 44

ბრძოლა თაღლითობის წინააღმდეგ

1. თაღლითობასთან, კორუფციასა და სხვა უკანონო ქმედებებთან ბრძოლისთვის გამოიყენება რეგულაცია (EC) No 1073/1999, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.
2. მხარდაჭერის ოფისი უერთდება 1999 წლის 25 მაისის უწყებათაშორის შეთანხმებას და დაუყოვნებლივ გამოსცემს შესაბამის დებულებებს, რომლებიც მხარდაჭერის ოფისის ყველა თანამშრომლის მიმართ იქნება გამოყენებული.
3. გადაწყვეტილებებში, რომლებიც დაფინანსებასა და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებებს ეხება და მათგან გამომდინარე სხვა დოკუმენტებში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რომ კონტროლის პალატას ან თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ სამსახურს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვთ, მხარდაჭერის ოფისისაგან დაფინანსების მიმღებთა და ამ დაფინანსების განაწილებაზე პასუხისმგებელ პირთა ადგილზე შემოწმება ჩაატარონ.

მუხლი 45

დებულებები პასუხისმგებლობის შესახებ

1. მხარდაჭერის ოფისის სახელშეკრულებო ვალდებულებებს მართავს კანონი, რომელიც მოცემულ ხელშეკრულებას შეესაბამება.
2. ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს გადაწყვეტილება მხარდაჭერის ოფისის მიერ დადებულ კონტრაქტში მოცემული ნებისმიერი საარბიტრაჟო დათქმის შესაბამისად.
3. არასახელშეკრულებო ვალდებულებების შემთხვევაში, მხარდაჭერის ოფისი, წევრი ქვეყნების კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების შესაბამისად, მისი სტრუქტურული დანაყოფების ან თანამშრომლების მიერ მოვალეობების შესრულების დროს მიყენებულ ნებისმიერ ზიანს ანაზღაურებს.

4. ევროპის კავშირის სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება დავებზე, რომლებიც მე-3 პუნქტში აღნიშნული ზიანის ანაზღაურების საკითხებს ეხება.
5. თანამშრომელთა პირადი პასუხისმგებლობა მხარდაჭერის ოფისის მიმართ საკადრო რეგულაციებში ჩამოყალიბებულ დებულებებს ექვემდებარება.

მუხლი 46

შეფასება და განხილვა

1. არაუგვიანეს 2014 წლის 19 ივნისისა, მხარდაჭერის ოფისმა უნდა უზრუნველყოს მისი საქმიანობის დამოუკიდებელი გარე შეფასება, ამ ოფისის ფუნქციური მოვალეობების შესაბამისად, რომლებიც მმართველი საბჭოს მიერ, კომისიასთან შეთანხმებით დადგინდა. ეს შეფასება უნდა შეიცავდეს თავშესაფრის მინიჭებასა და თავშესაფრის საერთო ევროპული სისტემის სფეროში პრაქტიკულ თანამშრომლობაზე მხარდაჭერის ოფისის გავლენის საკითხს. შეფასებამ საკმარისი ყურადღება უნდა მიაქციოს მანდატის ფარგლებში მიღწეულ წინსვლას, მათ შორის, იმის შეფასებას, თუ რამდენად არის საჭირო დამატებითი ზომების მიღება, რათა უზრუნველყოფილ იქნას განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ მყოფ წევრ ქვეყნებთან სოლიდარობა და პასუხისმგებლობის განაწილება. კერძოდ, დააყენოს მხარდაჭერის ოფისის მანდატის შესაძლო ცვლილების საკითხი, ასეთი ცვლილების ფინანსური შედეგების ჩათვლით; შეამოწმოს, თუ რამდენად უზრუნველყოფენ მმართველი სტრუქტურები მხარდაჭერის ოფისის მოვალეობების შესრულებას. შეფასებამ უნდა გაითვალისწინოს დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები, როგორც ევროკავშირის, ისე ეროვნულ დონეებზე.
2. კომისიასთან შეთანხმებით, მმართველი საბჭო მომდევნო შეფასების ვადებს 1-ელ პუნქტში მითითებული შეფასების შედეგების გათვალისწინებით გადაწყვეტს.

მუხლი 47

ადმინისტრაციული კონტროლი

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 228-ე მუხლის შესაბამისად, მხარდაჭერის ოფისის საქმიანობა ომბუდსმენის კონტროლს ექვემდებარება.

მუხლი 48

დანიასთან თანამშრომლობა

მხარდაჭერის ოფისი ხელს უწყობს დანიასთან თანამშრომლობას, რაც გულისხმობს ინფორმაციისა და საუკეთესო გამოცდილების გაცვლას მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებში.

მუხლი 49

მესამე და ასოცირებულ ქვეყნებთან თანამშრომლობა

1. მხარდაჭერის ოფისი მზადაა ისლანდიის, ლიხტენშტეინის, ნორვეგიისა და შვეიცარიის დამკვირვებელთა მონაწილეობისთვის. მომზადდება მექანიზმები, რომლებიც განსაზღვრავს მხარდაჭერის ოფისის მუშაობაში ამ ქვეყნების მონაწილეობის ხასიათს, მასშტაბებსა და წესს. ეს მექანიზმები უნდა მოიცავდეს დებულებებს, რომლებიც მხარდაჭერის ოფისის მიერ წამოწყებულ ინიციატივებში მონაწილეობას, ფინანსურ წვლილსა და პერსონალს ითვალსწინებს.
2. მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, საჭიროების მიხედვით, კომისიასთან შეთანხმებით, საკუთარი მანდატისა და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ფარგლებში, მხარდაჭერის ოფისი ხელს უწყობს თანამშრომლობას წევრ ქვეყნებსა და მესამე ქვეყნებს შორის, გარდა 1-ელ პუნქტში ჩამოთვლილი ქვეყნებისა; ოფისმა შესაძლებელია ასევე ითანამშრომლოს მესამე ქვეყნების სახელისუფლებო ორგანოებთან, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ამ დირექტივით გათვალისწინებული სფეროების ტექნიკურ ასპექტებთან დაკავშირებით, იმ სამუშაო შეთანხმებების ფარგლებში, რომლებიც ამ ორგანოებთან ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისი დებულებების თანახმად არის დადებული.

მუხლი 50

თანამშრომლობა გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისariatთან

მხარდაჭერის ოფისი თანამშრომლობს გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისariatთან იმ სფეროებში, რომელსაც მოცემული დირექტივა არეგულირებს, იმ სამუშაო შეთანხმებების ფარგლებში, რომლებიც მასთან არის დადებული. მხარდაჭერის ოფისის სახელით, სამუშაო ხელშეკრულებებისა და მათი ფინანსური შედეგების შესახებ გადაწყვეტილებას მმართველი საბჭო იღებს.

გარდა ამისა, მმართველ საბჭოს შეუძლია გადაწყვიტოს, რომ მხარდაჭერის ოფისმა მოიძიოს ფინანსური რესურსები გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისariatის მიერ გაწეული იმ ხარჯების ასანაზღაურებლად, რომლებიც სამუშაო ხელშეკრულებებით არ იყო გათვალისწინებული. ეს უნდა იყოს მხარდაჭერის ოფისსა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისariatს შორის სპეციალური

თანამშრომლობის ნაწილი, რომელიც მყარდება ამ დირექტივის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, მე-5 მუხლის, მე-9 მუხლის 1-ელი პუნქტის, 25-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. ევროპის კავშირის (EC, ევრატომი) No 2343/2002 რეგულაციის თანახმად, მოქმედებს ფინანსური რეგულაციის დებულებები და მისი განხორციელების წესები.

მუხლი 51

საკონსულტაციო ფორუმი

1. მხარდაჭერის ოფისს მჭიდრო დიალოგი აქვს სამოქალაქო საზოგადოების შესაბამის ორგანიზაციებსა და თავშესაფრის საკითხებზე მომუშავე ხელისუფლების ორგანოებთან ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ, ევროპულ თუ საერთაშორისო დონეებზე და ამ მიზნით აყალიბებს საკონსულტაციო ფორუმს.
2. საკონსულტაციო ფორუმი ინფორმაციის გაცვლისა და ცოდნის გაზიარების მექანიზმია. იგი მხარდაჭერის ოფისსა და შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს შორის მჭიდრო დიალოგის არსებობას უზრუნველყოფს.
3. 1-ელი პუნქტის შესაბამისად, საკონსულტაციო ფორუმი ღიაა შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის. მხარდაჭერის ოფისი მიმართავს საკონსულტაციო ფორუმის წევრებს იმ სფეროების კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე, რომლებიც მხარდაჭერის ოფისის საქმიანობის პრიორიტეტებად არის აღიარებული.
გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარს თანამდებობრივად ეკუთვნის საკონსულტაციო ფორუმის წევრობა.
4. მხარდაჭერის ოფისი იწვევს საკონსულტაციო ფორუმს, კერძოდ, შემდეგი შემთხვევებისთვის:
 - ა) მმართველ საბჭოს შესთავაზოს წინადადებები 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მისაღები ყოველწლიური სამუშაო პროგრამის თაობაზე;
 - ბ) უზრუნველყოს მმართველი საბჭოს ინფორმირება და შესთავაზოს ღონისძიებები 29-ე მუხლის 1-ელი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ყოველწლიურ ანგარიშზე რეაგირების კონტექსტში და ევროპის კავშირში თავშესაფრის საქმეებში არსებული სიტუაციის ანგარიშის შესახებ, რომელიც მე-12 მუხლის 1-ელ პუნქტშია მითითებული; და
 - დ) შეატყობინოს აღმასრულებელ დირექტორსა და მმართველ საბჭოს მხარდაჭერის ოფისის საქმიანობის შესაფერის საკითხებზე ჩატარებული კონფერენციების, სემინარებისა და შეხვედრების დასკვნებისა და რეკომენდაციების შესახებ;

5. საკონსულტაციო ფორუმი, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ იკრიბება.

მუხლი 52

თანამშრომლობა ფრონტექსთან, ფუნდამენტური უფლებების სააგენტოსთან, ევროკავშირის სხვა ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან

მხარდაჭერის ოფისი თანამშრომლობს კავშირის იმ უწყებებთან, რომელთა საქმიანობაც დაკავშირებულია მისი საქმიანობის სფეროსთან, განსაკუთრებით, ფრონტექსსა და ფუნდამენტური უფლებების სააგენტოსთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც კომპეტენტური არიან ამ რეგულაციით გათვალისწინებულ საკითხებში, იმ სამუშაო სქემების ფარგლებში, რომლებიც ამ უწყებებს შორის არის შეთანხმებული, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულებისა და ამ უწყებათა კომპეტენციების განმსაზღვრელი დებულებების საფუძველზე.

თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებს შორის წარმატებულ ერთობლივ ძალისხმევას წარმოშობს და მათი მანდატებით გათვალისწინებული სამუშაო ძალისხმევის განმეორების თავიდან აცილებას უწყობს ხელს.

მუხლი 53

შეთანხმება სათავო ოფისისა და მუშაობის პირობების შესახებ

მხარდაჭერის ოფისის მასპინძელ წევრ ქვეყანაში განთავსებასთან დაკავშირებული აუცილებელი ღონისძიებები და წევრი სახელმწიფოს მიერ მათ განკარგულებაში გადასაცემი საშუალებები, იმ კონკრეტულ წესებთან ერთად, რომლებიც მასპინძელ წევრ ქვეყანაში მხარდაჭერის ოფისის აღმასრულებელ დირექტორს, მმართველი საბჭოს წევრებს, მხარდაჭერის ოფისის თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს მიესადაგება, მოცემულია შეთანხმებაში სათავო ოფისის შესახებ, რომელიც მხარდაჭერის ოფისსა და მასპინძელ წევრ სახელმწიფოს შორის იდება, მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება თანხმობა მმართველი საბჭოსაგან. მასპინძელი წევრი სახელმწიფო მხარდაჭერის ოფისს მისი გამართული ფუნქციონირებისთვის შეძლებისდაგვარად საუკეთესო პირობებს სთავაზობს, მათ შორის, მრავალენოვან, ევროპული ორიენტაციის სასკოლო განათლებასა და შესაბამის სატრანსპორტო კავშირებს.

მუხლი 54

მხარდაჭერის ოფისის საქმიანობის დაწყება

მხარდაჭერის ოფისი საქმიანობის დაწყებისთვის სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს 2011 წლის 19 ივნისისთვის.

კომისია მხარდაჭერის ოფისის დაფუძნებასა და საწყის საქმიანობაზე პასუხისმგებელია მანამ, სანამ მას საკუთარი ბიუჯეტის შესასრულებლად საკმარისი შესაძლებლობა ექნება.

ამ მიზნით:

- იმ დრომდე, სანამ აღმასრულებელი დირექტორი 30-ე მუხლის შესაბამისად მმართველი საბჭოს მიერ მისი დანიშვნის შემდეგ თავისი მოვალეობების შესრულებას შეუდგება, კომისიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა შეიძლება დროებით შეასრულოს დირექტორის მოვალეობა და განახორციელოს აღმასრულებელ დირექტორზე დაკისრებული მოვალეობები;
- კომისიის თანამდებობის პირებს შეუძლიათ შეასრულონ მხარდაჭერის ოფისზე დაკისრებული მოვალეობები დროებითი დირექტორის ან აღმასრულებელი დირექტორის ხელმძღვანელობით.

დროებით დირექტორს შეუძლია, მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებული მხარდაჭერის ოფისის ბიუჯეტის ასიგნებებიდან გასცეს გადახდების განხორციელების ნებართვა და მხარდაჭერის ოფისის სამტატო განრიგის დამტკიცების შემდეგ გააფორმოს ხელშეკრულებები, თანამშრომელთა ხელშეკრულებების ჩათვლით.

მუხლი 55

ძალაში შესვლა

ეს დირექტივა ძალაში შედის *ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში* მისი გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.

ეს დირექტივა სავალდებულოა სრული მოცულობით და უშუალოდ გამოიყენება წევრი სახელმწიფოების მიერ, ხელშეკრულებების შესაბამისად.

მომზადებულია სტრასბურგში, 2010 წლის 19 მაისს.

ევროპის პარლამენტის სახელით

პრეზიდენტი

ჟ. ბუზევი

საბჭოს სახელით
პრეზიდენტი
დ. ლოპეზ გარიდო

¹ ევროპარლამენტის 2009 წლის 7 მაისის პოზიცია (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ არ გამოქვეყნებულა), საბჭოს პოზიცია 2010 წლის 25 თებერვლის წაკითხვის დროს (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ არ გამოქვეყნებულა). ევროპის პარლამენტის 2010 წლის 18 მაისის პოზიცია (ოფიციალურ ჟურნალში ჯერ არ გამოქვეყნებულა),

² OJ L 349, 25.11.2004, გვ. 1

³ OJ L 53, 22.2.2007, გვ. 1.

⁴ OJ L 131, 21.5.2008, გვ. 7

⁵ OJ C 139, 14.6.2006, გვ. 1.

⁶ OJ L 248, 16.9.2002, გვ. 1.

⁷ OJ L 136, 31.5.1999, გვ. 1.

⁸ OJ L 136, 31.5.1999, გვ. 15

⁹ OJ L 145, 31.5.2001, გვ. 43.

¹⁰ OJ L 8, 12.1.2001, გვ. 1.

¹¹ OJ L 357, 31.12.2002, გვ. 72.

¹² OJ L 56, 4.3.1968, გვ. 1.

¹³ OJ 17, 6.10.1958, გვ. 385.

¹⁴ OJ L 317, 3.12.2001, გვ. 1.